


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ტოტოტიც ბეჭდუდი სიფყვას, ცყუილებით და ჭბრბით ბუბთის გაცანა ყუულა უჯადრისბბაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 მაისი, 2015 წელი.

№84 (7729)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

ჩვენ სადა გვაქვს დასაქვრბი ინვესტიცია?! ②

ვითომ ექსპერტი, როელიც მხოლოდ უავს ხედავს! ③

ვინ არის „ჩვეულებრივი თაღლითი“ რომან გოცირიძე?



მათ გვირობას არავინ დაივიწყებს

თბილისში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები დედაქალაქის მერიისგან ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო ამ ომში მარჩენალდაკარგულები – 700 ლარს მიიღებენ.

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთან, 91 წლის რობერტ ზირაქიშვილთან სტუმრობისას განაცხადა.

თბილისის მერი ვეტერანის ოჯახში ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

დავით ნარმანიამ რობერტ ზირაქიშვილს ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავი მიულოცა და აცნობა, რომ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ვეტერანთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მას პირად ბარათზე 1000 ლარი დაერიცხება. თბილისის მერის თქმით, გასულ წელს აღნიშნული თანხა ვეტერანებისთვის 400 ლარი, ხოლო მარჩენალდაკარგულებისთვის 200 ლარი იყო.

„ამ ადამიანებს განსაკუთრებული დამსახურება აქვთ სამშობლოს წინაშე. ცენტრალურმა და ადგილობრივმა მთავრობამ აქტიურად ვიმუშავეთ, რომ ღირსეულად აღვნიშნოთ ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი და ამ ადამიანების ღვანლი დაფასოთ. გასულ წელს ფინანსური მხარდაჭერა 400 ლარი იყო, წელს ეს თანხა 1000 ლარამდე გაიზარდა“, – განაცხადა დავით ნარმანიამ. მისი თქმით, ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები.

რობერტ ზირაქიშვილი 1924 წლის 16 აპრილს დაიბადა. მისი ოჯახი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება. დავით ნარმანიამ ომის ვეტერანს მხეობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

თელავის მერიის ⑤ პირველი იმედიანი ნაბიჯები

მტკვარი შეიძლება საუიუროებად გადაგვექცეს! ④

სხვამ ინვიროს, ჩვენ კი ვიზარალოთ?! ⑥

რა ქონებას ფლობენ ⑥ გუბერნატორები?

2014 წელს მსოფლიო მასშტაბით კიბოს საწინააღმდეგო მედიკამენტებზე დანახარჯებმა 100 მილიარდ დოლარს მიაღწია ⑥

მინილ დუნდუა: ②3

ვინს ახლა დოლარს ყიდულობს, აუსილებლად წააბებს

გამარჯვება დარჩა იმას, ⑧ ვინი საქმევს სამართლიანი იყო

დიდი სახალსო ომი – 70

პრეზიდენტის განცხადება სსიპ-ის მოწვევის თაობაზე განცხადება გაემოსა

რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებას, განკარგულეობა პარლამენტის უკვე ჩაბარდა.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, რიგგარეშე საპარლამენტო სხდომა საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად იქნა მოწვეული.

რიგგარეშე სხდომა უფლებამოსილია, შეიკრიბოს 8 მაისის 13 საათიდან.

რიგგარეშე სხდომის მოწვევის თხოვნით პრეზიდენტის პარლამენტში მიმართა. დღეს საკანონმდებლო ორგანო მთავრობის განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე იმსჯელებს.



მიხაკ ახანაშვილი დანახაჯულები ჩინეთის სსიპ-ის 3,5 მილიონი სჭირდება



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, იუსტიციის სახლების მშენებლობის პროცესში წინა ხელისუფლების დროს დაშვებული ხარვეზების გამოსწორებას 3,5 მილიონი ლარი სჭირდება. ამის შესახებ წულუკიანმა იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის, თავდაცვისა და საპროცედურო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

მან დეპუტატებს პირობა მისცა, რომ აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისთვის საჭირო 3,5 მილიონს მისი უწყება მოიძიებს. „იუსტიციის სახლებს ვავითარებთ. თქვენ იცით, რომ ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდა თბილისის იუსტიციის სახლს. იგივე ეხება გურჯაანის და სხვა იუსტიციის სახლებს, რომლებსაც სერიოზული ინფრასტრუქტურული პრობლემები ჰქონდა. წელს და გაისად დაგეგმილება 3,5 მილიონი ლარი, რომ მთლიანად გამოვასწოროთ ეს პრობლემები, მათ შორის თბილისის იუსტიციის სახლთან დაკავშირებული ხარვეზები“, - აღნიშნა წულუკიანმა.

მთავარ პროკურორს მომავალი პარლამენტი აირჩევს

მთავარი პროკურორის რეფორმების კუთხით მთავრობის გეგმების შესახებ პარლამენტის წევრებს ინფორმაცია იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მიაწოდა. წულუკიანს იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა, თავდაცვის და საპროცედურო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე უსმენენ.

„ჩვენ დავიწყეთ პროკურორის ინსტიტუტის რეფორმა და ძალიან მალე შემოგთავაზებთ მთავრობის მიერ დამტკიცებულ მოდელს - შეიქმნება საპროკურორო საბჭო, სადაც მონაწილეობას მიიღებს თავად პროკურორს, მაგრამ რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მთავარი პროკურორის არჩევნებსა და კანდიდატურის განსაზღვრაში ჩართული იქნება სამოქალაქო საზოგადოება და საბოლოოდ, მთავარ პროკურორს პარლამენტი აირჩევს. იმედია, ეს წელსვე მოხდება“, - განაცხადა თეა წულუკიანმა.

რეზო ჩხეიძე დიღუბის პანთეონში დაკრძალეს

სამიშის საკათედრო ტაძარში რეზო ჩხეიძის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღავლინა.

სამების საკათედრო ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდზე იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანიძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, ასევე, რეზო ჩხეიძის კოლეგები და საზოგადოების ცნობილი სახეები.

მხარდასაჭერად, - ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც ის რეზო ჩხეიძის სამოქალაქო პანაშვიდზე იმყოფებოდა.

„უდიდესი ადამიანი დაგვიტოვა არა მარტო ჩვენ, არამედ მთელმა მსოფლიომ. ძალიან მდიდარია ის შემოქმედება, რაც მან დაგვიტოვა და ძალიან დიდია ის ღვაწლი, რაც მას მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე. ეს უმთავრესი წინაპირობაა იმისა, რომ არა მარტო ჩვენმა თაობამ, არამედ



რეზო ჩხეიძე იყო არა მარტო დიდი ხელოვანი, არამედ ჩვენი ქვეყნის დიდი მოქალაქე და ყოველთვის ახერხებდა, სწორი პოზიცია დაეჭირა, - ამის შესახებ სამების საკათედრო ტაძარში ყოფილი პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომელიც რეზო ჩხეიძის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

ივანიშვილმა 2012 წელს წინასაარჩევნო კამპანია გაიხსენა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კარგად არ იყო, რეზო ჩხეიძემ ჯოხით მოიარა მთელი საქართველო.

„პატონ რეზოს ძალიან კარგად ვიცნობდი. მისი დონის ხელოვანი, ნებისმიერი ვეელაზე დიდი სახელმწიფოსთვის საამაყო იქნებოდა და ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები ამაყი უნდა ვიყოთ მისით“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მასრულებელ სიტყვას, რომელიც მივეცი რეზო ჩხეიძეს, მომავალში ძალიან აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობას ქართული ხელოვნების

მომავალმა თაობებმა არ დაივიწყონ ბატონი რეზოს სახელი. მე პირადად ძალიან კარგად მახსოვს მისი შემოქმედება, კარგად მახსოვს წინასაარჩევნო პერიოდი, სულ რაღაც ერთი წლის წინ, როდესაც ინტელიგენციის წინაშე შეკრებილეს მოგვმართა და პირადად მე მომმართა, რომ ქართულ კინოს და ხელოვნებას დაგვგომოდით გვერდში და ეს ყველაფერი რაც გადასარჩენია, გადაგვერჩინა“, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

საქართველო უსანიშნავი მგალობითა, როგორ სხოვროგდნენ მშვიდობიანად მართლმადიდებელი, მუსლიმი და იუდაეული აღაშიანები



ამის შესახებ ურნალისტებთან შეხვედრისას ამერიკელმა კონგრესმენმა ჯოუ ვილსონმა განაცხადა.

„მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის უფლების დაცვა. ჩემთვის აღმოჩენა იყო და არ ვიცოდი, რომ საქართველოს ჩეჩნური წარმოშობის მოქალაქეები ჰყავს. გაქვთ ასევე ავტონომიური ოლქი. ეს, რა თქმა უნდა, სიმდიდრეა. საქართველო არის შესანიშნავი მაგალითი

როგორ ცხოვრობდნენ, თანამშრომლობდნენ, მუშაობდნენ მშვიდობიანად ერთმანეთთან მართლმადიდებელი, მუსლიმი და იუდაეული ადამიანები. ეს მაგალითია სხვებისთვის“, - განაცხადა ჯოუ ვილსონმა.

ვილსონი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს კოლეგებთან მადელინ ბორდალოსთან და რიდ რიბლთან ერთად შეხვდა.

მსპარისი შეფასება

ჩვენ სადა გვაქვს დასაბარბი ინვესტიცია?!

რაბომ არის „პანორამა თბილისის“ განხორციელება აუცილებელი

„პანორამა თბილისი“ უმნიშვნელოვანესი პროექტია და ის აუცილებლად უნდა განხორციელდეს, - ასეთია ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ ვაჟა ბერიძის შეფასება. „კვირასთან“ საუბრისას იგი აცხადებს, რომ ის აუიოტაჟი, რაც პროექტის განხორციელების საკითხს ახლავს, თემის პოლიტიკის შედეგია. ექსპერტის შეფასებით, ნახევარმილიარდიანი ინვესტიციის განხორციელება საქართველოს ეკონომიკას და დედაქალაქს ძალიან სჭირდება, შესაბამისად, განცხადებები, რომ პროექტი არ უნდა განხორციელდეს, არაგონივრულია.

„ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, აურზაური, რაც პროექტის ირგვლივ არსებობს, თემის პოლიტიკის შედეგია და ძალიან ცუდია. ჩვენი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, დედაქალაქმა, რომელსაც ასევე უამრავი პრობლემა აქვს, უარი არ უნდა თქვას ნახევარმილიარდიანი ინვესტიციაზე, ანუ პროექტ „პანორამა თბილისის“ განხორციელებაზე. მე მხარს ვუჭერ „პანორამა თბილისის“ განხორციელების იდეას. დეტალებზე, დაირღვევა თუ არა არქიტექტურული სივრცე ამ პროექტის განხორციელებით, სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ, საჭიროა საზოგადოების ფართო ჩართულობა, მაგრამ ის, რომ პროექტი არ შედ-

გეს - მიმართა მცდარად. მაგალითისთვის: თავის დროზე მთაწმინდაზე რომ არ განხორციელდებოდა ირგვლივ არსებული პროექტები, ახლა იქ ტერიტორია ისეთივე სერიოზი იქნებოდა, როგორც იყო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ყველას ძალიან გვიყვარს თბილისი, ჩვენი არქიტექტურა არაჩვეულებრივია, მაგრამ მდებარეობის გამო საკმაოდ პირქუში ქალაქია - გარშემო აკრავს სერიოზი, რაც უცხო თვალისთვის ერთობ მძიმე აღსაქმელებს.

თუ სოლოლაკის მაღლობზე ჩაფიქრებული პროექტი განხორციელდებოდა, ეს ძალიან კარგ ლანდშაფტს შექმნის, მეტიც, უფრო კოლორიტულად წარმოაჩენს დანარ-



ჩენ ღირსშესანიშნაობებსაც. იმ ადამიანების არ მესმის, ვინც გამოდის და ამბობს, ეს პროექტი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ან თბილისის ზღვაზე ააშენეთო. უსაფუძვლოა მათი რჩევები. იმაზე აბეზირება, რომ ამ პროექტს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული თანაინვესტირების ფონდი ახორციელებს, მართებულად არ მიმართა. პროექტში არ

მიდის ბიუჯეტის ფული, საპირისპიროდ კი ჩნდება შანსი, რომ ამ პროექტის ამუშავებით ქვეყნის ბიუჯეტი გაიზარდოს“, - აცხადებს ვაჟა ბერიძე. ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პანორამა თბილისის“ განხორციელების შემთხვევაში ტურისტების რიცხვი ერთიორად მოიმატებს და გაჩნდება სამუშაო ადგილები.

„ეს პროექტი მრავალმხრივ მასშტაბურია. გაჩნდება სამუშაო ადგილები, მეტი დაინტერესება წამოვა ტურისტების მხრიდან, მე ვფიქრობ, ამ პროექტის გონივრულად განხორციელების შემთხვევაში მას კულტურულ-ისტორიული თავსაზრისით დაახლოებით ისეთივე დატვირთვა ექნება, როგორც დღეს მთაწმინდას აქვს“, - აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

თანაინვესტირების ფონდი სოლოლაკის ფერდობზე პროექტ „პანორამა თბილისის“ განხორციელებას გეგმავს. პროექტის წინასწარი ჯამური ბიუჯეტი ნახევარ მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს. პროექტი „პანორამა თბილისი“ უპრეცედენტოა იმიტომ, რომ ის ქმნის 4 მრავალფუნქციური კომპლექსის (1. სოლოლაკის მაღლობი, 2. სოლოლაკის ბაღები, 3. თავისუფლების მოედანი და ერეკლე II-ს მოედანი) ერთობლიობას და აკავშირებს მათ საბაგირო გზებით და დახრილი დიფტერით, რაც დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდშიც უზრუნველყოფს კომპლექსებს შორის ავტოტრანსპორტის გარეშე, სწრაფად და მოხერხებულად, გარეთ გაუსვლელად გადაადგილებას. როგორც თანაინვესტირების ფონდში აცხადებენ, პროექტის ფარგლებში 30 ათასი ხე დაირგვება.

KVIRA.GE

მეზუღანთა გაღერა



პითოპო ექსპერტი, როგორც მსოფლიო უაპს სედაპს!

პინ არის „ჩვეულებრივი თაღლითი“ როგორც გოცირიძე?

წლის top-ექსპერტი რომან გოცირიძე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას აპოკალიფს უწინასწარმეტყველებს...

„20/30 კონფერენცია მისმა დამფუძნებელმა გახსნისთანავე დატოვა! უჩემოდ უფრო თამამად და გულწრფელად ისაუბრებოდა მწვავე თემებზე...“

დარბაზი ნამდვილად გადაურჩა ამ „სიამოვნებას“ და „ახალგაზრდა ექსპერტებიც“ უფრო სოლიდურად გამოიყურებოდნენ...

აი, გოცირიძის ამ სიტყვებს კი სოციალურ ქსელში მოჰყვა გინების ნიაღვარი: „გოცირიძე, გუშინ რატომ არ ან ვერ უთხარი ბიძინას რამე მარიოტის დარბაზში...“

მართლაც და, რამდენად სანდოა ის ადამიანი, ვისაც ჩვენ ექსპერტს ვუნოდებთ, შეიძლება თუ არა დავყვრდნოთ მის გამოცდილებასა და ანალიზს, რა წარსული აქვს ან რა დამსახურება საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე? – ეს კითხვები ბევრჯერ დასმულა და მათზე პასუხიც არაერთგვაროვანია...

რომან გოცირიძეს გაჭირვებულ თანამოქალაქეებზე გული არ შესტკიოდა და არც პარტიული ერთგულებით ყოფილა გამორჩეული: ჯერ იყო კომუნისტები, მერე უზენაეს საბჭოში აღმოჩნდა, შევარდნაძის მთავრობაში წამყვან პოზიციებზე დაძვრებოდა, რესპუბლიკურ პარტიას განუდგა, ნაციონალებმა ჯერ

ალაზევს, მერე მოისროლეს... მაგრამ, როცა ასეთი ნიუანსები პრესაში გახშირდა, გოცირიძემ გადაწყვიტა ერივლა – აი, რას წერს ისევე „ფეისბუქზე“: „მგონი 50 დოლარი ვიშოვე Smile emoticon.“

ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა გუშინ: „ხალხში გაგრძელებული ინფორმაციით“ კი, ნაციონალებმა ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი რომან გოცირიძე დიდი წილი ციხისთვის არ გაიმეტეს (ალბათ, ისევე საკუთარი იმიჯი რომ არ დაეზარალებინათ) და მხოლოდ 2 დღით დააპატიმრეს. ჩვენი ვარაუდით, მათ რომან გოცირიძეზე კომპრომატები, ალბათ, საგულდაგულოდ შეინახეს და აქედან გამომდინარე, უკვე გასაგები ხდება, რის სანაცვლოდ იცავს ის ახლა ამ გუნდს და ახალ ხელისუფლებას, ქვეყნაზე მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციებს ავრცელებს მსოფლიოს მასშტაბით. სედაპის მსოფლიოს მასშტაბით... ახლა ვარკვევ იურისტებთან, ისეთი სიტყვები, როგორცაა „ხალხში გაგრძელებული ინფორმაციით“, „ალბათ“, „ჩვენი ვარაუდით“, ათავისუფლებს თუ არა გაზეთს პასუხისმგებლობისგან...“

ამას უდავოდ სასამართლო გადაწყვეტს. მაგრამ, როცა მსოფლიო მასშტაბით ექსპერტი აკეთებს სუბიექტურ ანალიზს, არ იზიარებს სტატისტიკურ მონაცემებს, არ ეთანხმება არანაირ ეკონომიკურ გათვლებს და არასწორ პროგნოზებს აკეთებს, თავისუფლდება თუ არა პასუხისმგებლობისგან, ან ვინმეს წინაშე პასუხს თუ აგებს?... „დიდი“ ექსპერტი ამაზე არც დაფიქრებულა. ივანიშვილმა გაკიცხვა აკმარა, მაგრამ „ევრონიუსის“ მაყურებელმა ეს რომ ვერ გაიგო? ექსპერტი ამ საკითხსაც საკმაოდ ცინიკურად უყურებს: „არ წყდება გამომცემი, თუ ვინ იყვნენ და რატომ აიღეს მაინცდამაინც ჩემგან ინტერვიუ ევრონიუსის ჟურნალისტებმა. ისე, მაინტერესებს, SNN-მა ან BBS-იმ რომ მოინდომოს საქართველოს ეკონომიკის შესახებ სწორი ინფორმაციის გაგება, როგორც გგონიათ, 20/30-ის ელურტულა „ექსპერტებს“ მიმართავენ, თუ შეეცდებიან, სხვა წყარო მოძებნონ?“ – წერს რომან გოცირიძე.

მოკლედ, ძალიან გადავიკვირე, „ახალგაზრდა ექსპერტებს“, მაგრამ, როგორც სტუდენტების აღმზრდელს, იმდენი მაინც უნდა ესმოდეს, რომ მომავალ კოლეგებზე ან უკვე კოლეგებზე ასე ირონიით არ ილაპარაკოს. მითუმეტეს, რომ ამ ექსპერტებს პროფესიონალიზმს ვერ დაუწუნებ... (შეიძლება, მათშიც სუბიექტურობის ოდნავი სიმლაშე იყოს. ესაა და ეს).

ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ: „რომან გოცირიძეს როდესაც ასხენებ, განმარტება აღარ უნდა, ვისზეა ლაპარაკი. არ მეგულება ქვეყანაში ადამიანი, რომელიც მის შესახებ იკითხავს – ეს ვინ არის? ისიც უნდა ვთქვა, რომ ბატონი რომანის ხსენებაზე ერთ დროს ქართული ფულის ერთეული – კუპონი გახსენდება და მისი მეტსახელი – გოცირიკი. ბატონი რომანი საინტერესო მოსაუბრეა... ასე იმიტომ ვაქვებ, რომ თუცა, თავმდაბალი ადამიანი გახლავთ და საკუთარი თავის ქება არ უყვარს...“

ადამიანი, რომელსაც „თავის ქება არ უყვარს“, სოციალურ ქსელში ზედმეტად ლაღი და ცინიკოსია. იგი პრემიერ-მინისტრის სახელზე პოსტს აქვეყნებს: „მე რომ პრემიერ-მინისტრი ვიყო და ზურგს პირადი 7 მილიარდი მიმაგრებდეს, ერთ

წელიწადში მთელ მსოფლიოს ავალაპარაკებდი მე რომ პრემიერ-მინისტრი ვიყო, საკუთარი გუნდით ორ წელიწადში მთელ მსოფლიოს ავალაპარაკებდი მე რომ პრემიერ-მინისტრი ვიყო, დღევანდელი სამთავრობო გუნდით, წლის ბოლოს ყველა ჩვენზე ილაპარაკებს!“ ეს არის ან ძალიან დიდი ირონია, ან საკუთარ შესაძლებლობებზე უსაზღვრო წარმოდგენა, რომელიც თავმდაბლობისგან ისე შორსაა, როგორც მზე დედამიწისგან.

რომან გოცირიძის გამონათქვამებზე ისევე „ქოთქოთებს“ სოციალური მედია: „ეს ხომ კანონიერი მთავრობის მოლაპატეა, ზვიადის გამყიდველი, სკამის გულისთვის, დაავიწყდა, ეტყობა“; „ეს რომ ჭკუის სწავლებას დაგინებებს. ამის დროს არ იყო ერთი დოლარი მილიონი კუპონი რომ ღირდა??“; „ევრონიუსი როდის ყვაოდა, რომ დანგრეულიყო, სიზმარი ხომ არ ნახე. ეს თუ ექსპერტია, მაშინ მე ვყოფილვარ ჩინეთის იმპერატორიცა“; „ფაქტულტეტის ყოფილი კომპაზიონის შედევანი, მერე ეროვნულ მოძრაობაში მივტყნა, მის დროს კუპონების გაუფასურება მოხდა, არასწორი საგადასახადო და საბანკო პოლიტიკის გამო ქვეყნის მოსახლეობა დაზარალდა, რომელიც დღემდე გრძელდება...“ საიდან ამოქექავენ ასეთ ექსპერტებს, ჩვეულებრივი გამდიდრებული თაღლითია“; „2004 წელს რომან გოცირიძე აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში რომან გოცირიძეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. აქედან დასკვნა, ვინ ჭამდა და ვის ხელში გადაიოდა საქართველოს ბიუჯეტი“... „გოცირიძე, უხსტად შენ ხელში იყო მაშინ ეროვნული ბანკის სადავე და თუ გახსოვს, მაშინაც ამ დღეში იყო დოლარი. ხალხი დებილი ხომ არ გგონია?“ „შენ ისეთი უნიკალური ვიგინდარა ხარ, რომ შენგან გასაკვირი არაფერია“...

ამ კომენტარებიდან ჩანს, რომ ექსპერტის ექსპერტული დასკვნები საზოგადოების მოწონებას არ იმსახურებს. ის გამოცვალებული, როგორც მმართველი, თანამდებობის პირი, მენეჯერი, მაგრამ აღფრთოვანებული არ დავრჩენილვართ. ამის მერე, როდესაც პოლიტიკებულ განცხადებებს ისმენ, თანაც ულოგიკოს, რა თქმა უნდა, ნდობა ნელდება. და მაინც, რომან გოცირიძე ფიქრობს ასე: „პლუსებს რას ხედავთ ოცნების საქმიანობაში, მეკითხება გუშინ ერთი უცხოელი ჟურნალისტი. კარგა ხანს დავეჭვრდი. ობიექტურობისთვის ერთ-ორი „ზაგატოვკა“ არ უნდა გქონდეს კაცს? რაღაცები მივკიბ-მოვიკიბე. ჩემი გულწრფელი პასუხი კი ასეთია: იმაში ვხედავ, რომ წინა ხელისუფლება შეცვალა, რათა ყველა მიხედვს, რომ შეუცვლელი არავინაა. დანარჩენ პლუსებს თუ ვინმე ჩამოთვლის, გამიხარდება. უფრო მომზადებული შევხვდები მომავალში“.

აი, ლერწამივით მოქანავე მდიდარი ბანკირის და „პროფესორის“ მიგნება, სხვა პლუსებს თუ ვინმე ჩამოთვლის, გამიხარდება! ასეთი პროფესორი რომ აუდიტორიაში შევა, მისი სტუდენტებისგან შუმი ნაციონალების გარდა, ვერავის და ვერაფერს მივიღებთ.

ბატონო გოცირიკ, სამწუხაროა ფრიად!...

თაა მოსია

გამყიდველი

გეული არ იულის გელოპას...

ჩემი ნაპრებიდენტი მისი ილი ახლახან მეზობელ აზერბაიჯანში ჩატუნცულეულა. რას იზამ, სტუმარი ღვთისაო, ალბათ, ჩვენს მეზობლებშიც ასე მოდის, თორემ, კანონით იქიდან უნდა გამოეპანურებინათ.

სასიკეთოდ რომ არ ჩაეიდოდა, თქმა რად უნდა. იმას კი მოგვარი ვური, რომ დაიქადნა, საქართველოში მალე დაგვრუნდებო. როგორც ბაბუაჩემი აღდგება, ისე აუხდება ეს სურვილი.

ეგ კიდევ არაფერი წყლის ამღვრევას შეეცადა თურმე: საქართველოში ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს და მალე თანამდებობაზე არავის ნიშნავნი.

თავისი ცოდვები არ ახსენდება. შევარდნაძის დროს გარდაბნელი, უფრო სწორედ იქიდან დაწინაურებული მამედ მამედოვი, მიშა მისვლისთანავე მთავრობიდან გამოაუბნურა.

არც ის მახსენდება, თავისი 9-წლიანი მეფობის შეგნულ ხანაში თუნდაც ერთი არაქართველი დაწინაურებინოს.

მიშას არც ინგლიტებზე, ჰერეთელ თანამემამულეებზე შეუწუხებია თავი, იქ სომ ათი ათასობით ქართველი ცხოვრობს. იქაურები-სათვის უმადლესი თანამდებობა მხოლოდ სკოლის დირექტორია. ისიც მხოლოდ ქართულ სკოლებში.

ერთი სიტყვით, მისი საფიქრალი ორ ერს შორის უშლის ჩამოგდება. ამას მოყვარე კი არა, მტერიც მისვდება.

აი, სომებზე კი ჩვენი მტრები იმიტომ ყოფილან, რომ რუსეთთან მეგობრობენ.

ისე, დიდი სიფრთხილე გემართებს: ტყვიან მშვიერი მგელი როდის გამოეგნება, ეშმაკმა უწყის. მიშა კი მგელზე უფრო ვერაგი იმიტომაცა, რომ მეფისტოფლის ჭკუა-ტონებით მხოლოდ მოროტებისგანა მიმართული.

გივი ჯახუაძე „სრ“ საქ. კორ.

კაპალ გულში

ნეკილოვანი თქაზები

● მე ვგმობ ქ. თბილისის მერიის საქციელს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის დაზიანებული ბანერი შესაკეთებლად ჩამოუსწნია!

გადასაგდებად რომ ჩამოესწნა, არ დაგვმობდი.

ვაშინტლოში გეგულებათ საქართველოს რომელიმე პრეზიდენტის სახელობის ქუჩა? პოდა, მერიამაც საქმეს მინდოს – საქმეს!

● სასამართლომ განაცხადა: – უგულავა „იჯდვი რაო“...

● არ მჯერა, ფეხბურთელების მოსყიდვის ამბავი და რა ქნა?

მსოფლიოში არ მეგულება ტოტალიტატორი, რომელიც სარაგაულის „ჩხერიმელას“ თამაშზე მიიღებს ფსონს!

...ან დაეფერო, „მაზავენიკები“ ისე გაგიფენენ და „ჩხერიმელას“ თამაშზე „მაზავენიკ“ იმხელა თანხას, რომ ქრთამად 10 ათას ლარს იხდიან?

რა ვიცი თუ გჯერათ ვინმეს, მიბრძანდით, ბატონო. მე გაგიწვია!

● თუ გახსოვთ, იყო დავით რონდელის ფილმი „ჩემი მეგობარი ნოდარი“. ალექსანდრე რონდელმა ახალი დოქტრინა შექმნა „ჩვენი მეგობარი ნოდარი“. სწორი ნათქვამია, „კვიცი გვარზე სტისო“, – სტის ნამდვილად!

● ამ მთავრობის რაც მოწონს, ესაა რომ კონსტიტუცია ფეხებზე ჰკიდია. წესისმიერ პოლუტუპოსს შეუძლია განაცხადოს, რომ მინისტრია და არანაირ გამამტიცებებს და ვიღაც არჩეული პრეზიდენტის წარდგენას არ საჭიროებს.

ეს ნამდვილად სწორია, ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც უნდა, ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლება, მაგალითად, მე მინდა და ვხატავ, თინა მთელ დღეს კერავს, ეს წითელი ვარსკვლავი რიჩიმ გაგვიფერადა.

კონსტიტუცია, პრეზიდენტი და არჩევნები დრომოჭმული ატავიზმია, როდესაც გვეყავს დაუძინებელი მეგობარი ნოდარი, თავისით ლაგდება ყველაფერი, სურვილებიც მყისვე სრულდება, ნოდარს ვენაცვალე მე!

ამოკრიბა გია გაბრიჭიძე

ინტერვიუ

გარტლას, ჩვენ ჩვენი უნდა ვუკავთ გეოგრაფი

გაზიანის საწვრთნელ ბაზაზე აშშ-სა-ქართველოს ერთობლივი სამხედრო წვრთნები „მალაღონის პარტიზორი“ გა-იმართება. შესაბამისად, ბულგარეთის ქა-ლაქ ვარნადან ამერიკული სამხედრო აღ-ჭურვილობა ვაზიანის საწვრთნელი ბაზის-კენ დაიძრა. 600 ქართველი და ამერიკელი სამხედროს მონაწილეობით წვრთნები 11 მა-ისს დაიწყება და 25 მაისამდე გაგრძელდე-ბა. წვრთნა საველე სწავლებასაც მოიცავს. მისი ამოცანაა, ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში საქართველოსა და აშშ-ის ჯარე-ბის თავდაცვითი ამაღლება.

ვაზიანში ქართულ-ამერიკული ერ-თობლივი სამხედრო წვრთნის გამართვის მნიშ-ვნელობაზე საუბრობს თავდაცვის მინისტრი. თი-ნა ხიდაშელის განცხადე-ბით, მისი მინისტრობის პერიოდში შესაძლოა, ნა-ტოსთან ურთიერთობის

რო აღჭურვილობა, რომელიც ბათუმის პორტისკენ მიემართება.

„საქართველოს რეფორმების ასოცი-აციის“ თანადადამფუძნებელი ელენე ხოშ-ტარია აცხადებს, რომ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი, რადგან ქარ-თველი სამხედროები არა მხოლოდ ერ-თობლივ წვრთნებში მონაწილეობას, არამედ ერთობლივ სამხედრო ოპერა-ციასაც.

„ერთი მხრივ, ეს არის ჩვენი შეიარაღე-ბული ძალების გაძლიერების და მათი სტანდარტის გაუმჯობესების საკითხი და მეორე, ეს არის ჩვენი უსაფ-რთხოების საკითხი, მათ შო-რის, რუსეთის საფრთხის წინაშე. რადგან, ეს არის გზავნილი, რომ საქართვე-ლოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი გარდაუვალი და შეუქცევადია“, - აცხადებს ელენე ხოშტარია.

აშშ-ის არმია ვაგ ზღვაში მასშტაბურ სამხედრო აღჭურვილობას აგზავნის



პროცესი უფრო აქტიურ ფაზაში შევი-დეს. როგორც ხიდაშელი ამბობს, ამ პროცესში სრულფასოვანად გენშტაბის ხელმძღვანელის ვახტანგ კაპანაძის დაბ-რუნების შემდეგ ჩაერთვება.

„ეს არის ჩვენი და ნატოს, ან ჩვენი და იმ სახელმწიფოს ორმხრივი ურთიერთო-ბების საქმე, ჩვენი გადასასწაველი, ჩვენი ურთიერთობის ნაწილი, რომელიც გვაქვს. შემთხვევით, გითხრათ, რომ შესაძლოა, ეს ურთიერთობა უფრო აქტიურ და ინტენ-სიურ ფაზაში შევიდეს ჩემი მინისტრო-ბის პირობებში“, - აცხადებს თინა ხიდა-შელი.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშ-როების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ ქარ-თულ-ამერიკული ერთობლივი წვრთნე-ბის დაწყებას კრემლის გამომხატურება მოჰყვება.

„როგორც ნატოს ფარგლებში, ასევე ჩვენს პარტიზორ ქვეყნებთან ვატარებთ წვრთნებს, რამდენიმე ერთობლივ წვრთნას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ჯარისკაცებისთვის იმიტომ, რომ აქ მოხ-დედა სხვადასხვა ძალების გამოყენება, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გა-მოყენება, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შე-უწყობს ჩვენი ჯარისკაცების პროფესი-ონალიზმის გაღმავლებას. გვაქვს მოლოდი-ნი, რომ ე.წ. შეფუთვება დაფიქსირდება კრემლის მხრიდან, თუმცა, ამასაც რაღაც სტანდარტული ფორმა აქვს“, - აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

ალსანიშნავია, რომ სამხედრო წვრთნების დაწყებამდე აშშ-ის ოფიცია-ლიურ ვებ-გვერდზე ბულგარეთის სა-ნაპიროსთან ამერიკული არმიის სამ-ზადისის კადრები გავრცელდა. უწყების განცხადებით, აღნიშნული წვრთნები მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღმავლებას. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-ის არმია შავ ზღვაში ასეთ მასშტაბურ სა-მხედრო აღჭურვილობას აგზავნის. გავ-რცელდებულ კადრებში ჩანს როგორც ქვეითა საბრძოლო, ასევე, ლოჯისტი-კური უზრუნველყოფის მანქანები და სწავლებისთვის განკუთვნილი სამხედ-

„საქართველოს ატლან-ტიკური საბჭოს“ აღმას-რულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე აცხადებს, რომ აშშ-საქართველოს ერ-თობლივი სამხედრო წვრთნები მიმართუ-ლია იმისკენ, რომ გაიზარდოს საქარ-თველოს შეიარაღე-ბული ძალების თავსე-ბადობა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებთან.

„ჩვენ, გეგმაზომიერ-რად უნდა მივყვეთ ჩვენს ეროვნულ ინტე-რესებს. ავამაღლოთ ჩვენი თავდაცვისუნა-რიანობა, ასევე, დავაჩქაროთ შესაბამისი რეფორმები, მათ შორის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესი. სწორედ ეს იქნება ჩვენი უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფილის მთავარი გარანტი. მიუხედა-ვად იმისა, რა რეაქცია ექნება რუსეთს ამა-ზე, ჩვენ თანმიმდევრულად უნდა მივყვეთ ჩვენი ეროვნული ინტერესების განხორცი-ელებას. რუსეთის ფაქტორიდან გამომდი-ნარე, ჩვენი ეროვნული ინტერესების გან-ვითარების იგნორირება არ შეიძლება. პი-რიქით, მხოლოდ ამის საშუალებით მოხდე-ბა საბოლოო ჯამში რუსეთთან ურთიერთო-ბების ნორმალუზება. ამის მაგალითია ლა-ტვია, ლიტვა და ესტონეთი. მათ ნატოში გა-წევრებაზე ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთს, მაგრამ როგორც კი გახ-დნენ ალიანსის წევრები, დღესდღეობით პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე დალა-გებული და ცივილიზებული ურთიერთო-ბა სწორედ ამ ნატოს წევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან აქვთ.“

თამთა ძარჩავა

ალიან-ჩალიანი

ბენარალური შტაბის უფროსა ქართული და ამერიკული ტექნიკა დაათვალიერა

საბრძოლველად შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ერთობლი-ვი სწავლების „მალაღონის პარტიზორი“ ქართველ და ამერიკელ ხელმძღვანელო-ბას შეხვდა. გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ სწავლებისთვის მზადების პროცესი შეაფასა და სამხედრო მოსამსახურეებისგან წვრთნის მოსამზადებელი სამუშაოების შე-სახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. გენერალური შტაბის უფროსმა სწავლებისთვის განკუთვნილი ქართული და ამერიკული სამხედრო ტექნიკაც დაათვალიერა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 14 ერთეული ამერიკული ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლი“, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მანქანები და აღჭურვილობა ბა-თუმის პორტიდან ემუქვრებით ვაზიანში ოთხშაბათ დილით ჩამოვიდა. უწყების ინფორ-მაციით, ასევე მომზადდა წვრთნაში მონაწილე ქვეითთა საბრძოლო მანქანები ქსმ2-ებიც.

სამინისტროს ცნობით, „მალაღონის პარტიზორი“ სამხედრო მოსამსახურე-ბი ამერიკული „ბრედლებითა“ და ქართულ შეიარაღებაში არსებული ქვეითთა საბრძოლო მანქანა ქსმ2-ებთან სხვადასხვა ტექნიკური ამოცანებისა და საბრძოლო სრო-ლებს შეასრულებენ. ქართული-ამერიკული ერთობლივი სწავლება „მალაღონის პარ-ტიზორი“ 11 მაისს ვაზიანში ოფიციალურად გაიხსნება. წვრთნა საქართველოში პირ-ველად ტარდება და ქართული ასეულის ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებთან დაახ-ლოებას, ასევე ნატოს მომავალ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობისთვის მზად-ყოფის ამაღლებას ისახავს მიზნად.

ინტერპრესი

ღამურალი მდინარე



სხვამ იხეიროს, ჩვენ კი ვიზარალოთ?!

მტკვარი შეიძლება საუბრობად გადაგვიქცას!

ორიოდე წლის წინათ ქართველმა ეკო-ლოგებმა სცადეს ხელისუფლებისთვის იმ საშიშროების მეცნიერულად დასაბუთება, რაც შეიძლება მოპყვოდოდა თურქეთის გეგმებს საქართველოს საზღვართან, მდი-ნარე მტკვარზე, ჰიდროელექტროსადგუ-რების კასკადის მშენებლობას. ეს გამოიწ-ვევდა მდინარის წყლის ინტენსიურ გამოყე-ნებას. მტკვრის წყალი საქართველოში აღარ წამოვიდოდა და გადაადგმდნენ მდინარე ქოროხის კალაპოტში. მაგრამ იმ-ჟამინდელმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო მეცნიერთა შეგონება. შედეგად არ დააყოვნა. თურქეთის მხარე ერთ-ერთი ახლად აშენებული ჰიდროსადგურის წყლის მარაგით შევსება დაიწყო, რასაც ას-პინძის მუნიციპალიტეტში, თურქეთის საზღვართან მტკვარის დაშრობა მოჰყვა.

კითხვის ექსპერტი ლაშა ჩხარტიცი-ლი. მისი თქმით, მდინარე სარწყავი თვალსაზრისითაც გამოიყენება. თუ რამდენი იქნება მისი წყლის დონე, საკ-მაოდ მნიშვნელოვანია მდინარეში არ-სებული ეკოსისტემის არსებობისათვის, რამეთუ მტკვრის სანაპიროზე განლაგე-ბული რამდენიმე სოფლის მოსახლეო-ბა თავს მდინარით ირჩენს, - ამბობს ექ-სპერტი.

„მწვანეთა მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნინო ჩხობაძე ამბობს, რომ მტკვარზე სანიტარიული ნორმის დაჭე-რა წყლის დიდი მარაგითაა შესაძლებე-ლი. კლების შემთხვევაში რისკიც მატუ-ლობს. და თუ მდინარეში წყლის დონე ერთი თვის მანძილზე იქნება დაწეული, ეს კატასტროფულ შედეგს მოიტანს, ამტკიცებს ჩხობაძე და იქვე აღნიშნავს, რომ მდინარე სისტემატურად უნდა ინ-მინდებოდეს. მტკვარი კი 25 წელია, არ განმედილა. ამის გამო ერთთვიანი წყლის დონის დაწევის შემთხვევაში, სა-შინელი შლამის სუნს იგრძნობს კაცი. „მოძრაობის“ ლიდერი იმასაც აღნიშ-ნავს, რომ თუ გვიანდა მტკვრის ჩართვა ქალაქის მომსახურებაში, არ უნდა დაე-უშვათ მისი დაბინძურება, წყლის დო-ნის კლება.

მედიკოსები, ეკონომისტები, სპეცია-ლისტები მტკვრის წყლის დონის შესაძ-ლო კლებასთან დაკავშირებით სხვა-დასხვა პროგნოზს ვარაუდობენ - ეკო-ლოგიური კატასტროფა, ინფექციური დაავადებების გავრცელება, ეკონომი-კური ზარალი (რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი მტკვ-რის წყლით ირწყვება).

სად არის გამოსაჯელი?

ცხადია, ყველა ქვეყანა თავის ინტერე-სებს აყენებს წინა პლანზე, აცხადებენ სხვა-დასხვა დარგის სპეციალისტები, ექსპერტე-ბი, - მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს სხვათა, მეზობელთა ინტერესების იგნორირების ხარჯზე. მათი გადმოცემით ისტორიას მრავლად ახსოვს არა მხოლოდ მსგავსი ინ-ციდენტები, არამედ სერიოზული „წყლის კონფლიქტები“ მეზობელ სახელმწიფოებს შორის. მსგავსი რამ ევროპის უდიდეს მდი-ნარე დუნაის აუზის ქვეყნებს შორისაც მომხდარა, მაგრამ ყველაფერი ურთიერთ-სასარგებლოდ გადაწყვეტილა.

საქართველოს დღევანდელმა ხელი-სუფლებამ, წინასაგან განსხვავებით, იმ-დენი უნდა მოახერხოს, რომ თურქეთ-მა კვლავ გაუფრთხილებლად არ წაი-ლოს მდინარიდან წყლის მარაგი. ამი-სათვის საჭიროა, ჩვენი ქვეყნები შე-თანხმდნენ წყლის რესურსის გამოყენე-ბაზე. წყალი უნდა განაწილდეს და სა-ქართველოს არ შეექმნას ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება. ამის თაო-ბაზე „ნაცების“ ხელისუფლებას უამრა-ვი რეკომენდაცია და წინადადება მიე-წოდათ, მაგრამ „ცოცხოსნებს“ მეცნიე-რული დასკვნები ფეხებზე ეკიდათ.

ზაზა ბილინოძე

თვითმმართველობა

1.

თელავში ყველაფერი ხნითხნოვანია, მათ შორის, თვითმმართველობაც. პირველი საბჭო ხმოსნება 1896 წელს აირჩიეს და ქალაქში ამით დასრულდა პოლიციური მმართველობა. მიუხედავად სათანადო გამოცდილებისა და სახსრების ნაკლებობისა, მაინც მოხერხდა არაერთი სასიკეთო ნაბიჯის გადადგმა — ქალაქის მთავარ ქუჩა-მოედანზე დაიგო ქვაფენილი, მოგვიანებით მოეწყო განათება. საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აგვარებდა სამეზობლო თუ ქონებრივ დავებს.

არჩევითი საბჭოს ფუნქციონირება, ცნობილი მიზეზების გამო, 1918 წელს შეწყდა და სამიოდ წელიწადში, როგორც რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, თელავშიც ძალაუფლება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დემუტატთა საბჭოებს გადაეცა. ეს ფორმალურად, თორემ ფაქტობრივ მმართველობას კომუნისტური პარტია ახორციელებდა. როგორ და რანაირად, ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში ქალაქმა ძირეულად იცვალა სახე. რა თქმა უნდა, ამაში ტექნიკურ პროგრესთან ერთად, ჩვენ მამა-პაპათა გარჯა-თავდადება და საქმის ცოდნაც შეიტანა თავისი წვლილი. ამის აღნიშვნა აუცილებელია, რადგან ეროვნულ მოძრაობას მოყოლილმა ვაი-პატრიოტებმა (მათი რიცხვი დღესაც ფრიად მრავალრიცხოვანია), თავის დროზე, ნაბან წყალს ჩვილი ხომ გადააყოლეს, ამასაც არ დასჯერდნენ და ტაშტი ჯართში ჩააბარეს. ამ უკაცრავად და ხატოვანი გამონათქვამის უკან ბევრი ისეთი შავნელი საქმე მოჩანს, რომელთაც კომუნისტურ წარსულს ვერანაირად ვერ დავაბრალებთ. სსრკ-ის დაშლის დროისთვის თელავში სამი ფაბრიკა და ამდენივე ქარხანა, არაერთი საშუალო და წვრილი საწარმო არსებობდა. მათი ფუნქციონირების შეწყვეტა, ძირითადად მოშლილი საქმიანი კავშირები და ენერგეტიკული კრიზისი იყო, მაგრამ, რაც შეეხება ძვირფასი მანქანა-დანადგარების დანიავებას ჯართად, ეს უკვე ცალკეული პირების თუ ჯგუფების კერძო ინტერესებით იყო ნაკარნახევი და არა ხალხის ან ქვეყნის.

მას შემდეგ მეოთხედი საუკუნეა გასული და თელავიც ახალ ცხოვრებას ერიგება. თუ რამ შენდება და ფუნქციონირებს ქალაქში, ეს ძირითადად სავაჭრო ან კვების ობიექტებია, რაც სიამაყის მომგვრელი ნამდვილად არ არის, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ორი ათეული წლის წინათ, ვთქვათ, თელავის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია იაპონიაში აღწევდა! თუმცა, ისიც ნათელია, რომ მომსახურების ობიექტების სიმრავლე დროის მოთხოვნაა, რადგან სადღეისოდ ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი გზა ტურიზმია.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო 2012 წლის ქალაქის ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაცია. ჩოლოყაშვილის, ერეკლე II, ნადიკვრის და მათ მიმდებარე ქუჩებზე არაერთი საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი შენობა განახლდა. შეიცვალა კომუნიკაციები. განსაკუთრებული მოხსენიების ღირსია ამავე წლის 19 ივლისის დამანერველი ქარიშხლის შედეგების ლიკვიდაცია, რომელშიც ჩართული იყო საჯარისო ნაწილები, თბილისის მერიის კომუნალური სამსახურები.

კარგი იქნებოდა, აქვე დაგვესვა ნერთილი, მაგრამ ყველას მოესხენება ზოგადად ავტორიტარული და, კერძოდ, ნაციონალური მმართველობისთვის დამახასიათებელი უნაპირო თვითნებობა. რეაბილიტაციის დროს, თავად მოქალაქეთა აზრი და სურვილები არავის აღეგებდა. ქალაქის ორი უმნიშვნელოვანესი კულტურული ობიექტი: ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის და თელავის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაციის შედეგები დღესაც მძიმე ტვირთად აწევს ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას.

2.

თმბტრის წინ, ვინ იცის რა მიზნით, ტყედალმართული რკინის მილების მოსაჭრელად, ბოლო გათვლებით 120 ათასი ლარია საჭირო. გაცილებით რთულად არის ვითარება ბატონის ციხის ტერიტორიაზე. აქ სრულად დაინგრა ისტორიული ღირებულების

მატარებელი შენობები, რომლებშიც მუზეუმის ექსპოზიცია და სამხატვრო გალერეა იყო განლაგებული. რაც შეეხება ახლის მშენებლობას ეს, ბუნებრივია, დიდ დროს და დიდ სახსრებს ითხოვს. იმედი უნდა ვიქონიოთ და ამის წინამძღვრები კიდევაც არსებობს, რომ ამ ორი, არა მხოლოდ თელავისთვის მნიშვნელოვანი კულტურის კერის სათანადო მდგომარეობაში მოყვანაც მეტად ალარ დაეოვნდება.

ამ დღეებში მუნიციპალური განვითარების ფონდმა, თელავის საზოგადოებრიობას განსახილველად წარუდგინა მუზეუმი-სამხატვრო გალერეის შენობის და მეფეთა სასახლის რეაბილიტაციას პროექტი. ამ სამუშაოთა ღირებულება მილიონ ლარს აჭარბებს და მომავალი წლის აგვისტომდე უნდა დასრულდეს. ასე ძვირად დაუჯდა სახელმწიფოსა და ქალაქს წინამთავრობის თვითნებობა და ხალხის აზრის გაუთვალისწინებლობა, რაც ასე და-

შეხედვით დაცულია. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით! ჩვენნიარ ქვეყანაში, სადაც ხშირია ხელისუფალთა, კანონთა, პირობრიტეტთა ცვლა და, აქედან გამომდინარე, ბევრი რამ ხელმძღვანელის ნებაზეა დამოკიდებული, პირად ურთიერთობას ვერაფერი ცვლის. თანამედროვე ხელმძღვანელ-მენეჯერები ხშირად თავს, სამსახურებრივი დატვირთულობით იმართლებენ. ზოგიერთ ოპოზიციონერ ქალბატონს რომ დავესესხოთ — ყოველივე ღირსის მომგვრელია და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ეროვნულმა არქივმა, 2008 წელს ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები გამოაქვეყნა. ამ მრავალრიცხოვან დოკუმენტთაგან, დიდი წინაპრის სულის შეწუხებისათვის დაიძინა მოსდით, მხოლოდ რამდენიმე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

თელავის მერიის პირველი იმპერიული ნაბიჯები



მახასიათებელი იყო ნაციონალებისათვის. და აი ერთი საამისო მაგალითი.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კახეთის ახალ გუბერნატორს შეეხვდა. პირველი, რითაც მან თავი მოიჩინა, მოქალაქეთა მიღების გაუქმება იყო — ფორმალობაა, მეც დროს ვკარგავ და ისინიცო. ნამდვილად შესაფერისი განცხადებაა საჯარო მოხელისთვის, რომელსაც მართვის რაიონული რგოლის კონტროლი ევალება და, მათ შორის, მოქალაქეთა უფლებების დაცვა ადგილობრივ ხელმძღვანელთა თვითნებობისგან! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გაზიარებული ჭირი ნახევრდება და ზედაც თუ რაიმე საწუგემო ითქმება, ეს ხომ მთლად კარგი! იმაზეც ხომ დავრწმუნდით, რომ თუნდაც მეტ-ნაკლები დემოკრატიის პირობებში, სახელმწიფოს მდგრადობის უმთავრესი პირობა ხელი-სუფთავების დაცვაა მუდმივი დიალოგია და იგი მხოლოდ საარჩევნო პერიოდს არ უნდა მოიცავდეს. თანამედროვე ტექნიკური თუ ტექნოლოგიური მიღწევები და, უპირველესად, სოციალური ქსელები, სურვილის შემთხვევაში, ხალხისგან გამოიჯვინის მრავალ შესაძლებლობას იძლევა. არსებობს შესაბამისი ვებსაიტები, არსებობს ცხელი ხაზები და ამით აზრის გამოხატვის უფლება და შესაძლებლობა ერთი

1761 წ. 20 თებერვალი
ვეფხისტყაოსნის მოურავობის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ მამუკა ნოდარი შვილისადმი, ლეკებთან ბრძოლაში მისი შვილის, იასეს თავგანწირვის გამო — „ჩვენს წინ დაიკაფა“.

1753 წ. 12 ივლისი
წერილი ერეკლე II-ისა კათოლიკოს ანტონისადმი. ანტონის მიერ მეფისადმი სამდურავის შინაარსის წერილის საპასუხოდ ერეკლემ თავს იმართლებს და პატივებს ითხოვს. — „ჩვენს ცუდობას ნუ მისხედავთ და თქვენსა ჩემთვის სატრფოსა კეთილსუფრებით ბრძანებას მიწყალობებდეთ. ასე როგორ გამოიმჩნეოთ ან მე და ან ჩემი იწრო გონება ამ თქვენს წიგნში...“

1767 წ. 16 ოქტომბერი.
ოქმი ერეკლე II-ისა კვეველი მარგველაშვილის არზაზე, რომელიც მეტაბონეს უჩივის ცუდად მოპყრობისათვის.
ერეკლე ბრძანებს: „არზის პატრონო შენ მუწალგას (ფიცს) მოაწერე, რომ თუ იმის ყმადა აღმოჩნდება ნასალი (სასჯელი) დაგემატოს და თუ შენ გამართლებდი და ივანეს ყმადა არ აღმოჩნდები, ჩვენ იმას დიდად ავადა მოვეყვრობით და კიდევც გავლახავთ.“

ისე რომ, მევე ხმალამოლებული წინა ხაზ-

ზეც იბრძოდა (სხვაგვარად ვერ იტყოდა თავგანწირვით მეტროლ მეომარზე — „ჩვენს წინ დაიკაფა“), გარემოებათა გამო ქედს იხრის და თავს იმდაბლებს კათალიკოსის წინაშე და გზაბნეულ ყმას, თუკი ის თავის სიმართლეს დაამტკიცებდა, მეტაბონის გალახვასაც პირდება! ანუ მევე ყველაფერს ასწრებდა და ხალხის ჭირსა და ვარამს იზიარებდა. აკი ამისთვისაც შეერქვა კიდევ სიყვარულით — პატარა კახი! რა თქმა უნდა, ერეკლეს მეორეობა, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ და ქვეყანას, მესამე და მეოთხე ერეკლეს მოლოდინი უნდა გვექონდეს, მაგრამ ყველა დონის ხელმძღვანელი კი ვალდებულია სახელოვანი წინაპრის სამშობლოსათვის თავდადება იცოდეს და ახსოვდეს. თავდაც გულმოდგინედ იღვანოს ქვეყნის სასიკეთოდ. მით უმეტეს, რომ ბოლო ადგილობრივი არჩევნები და მისი საშუალებით დამკვიდრებული თვითმმართველობა, ეჭვგარეშეა, ამომრჩეველ-არჩეულის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდას გულისხმობს.

3.

2014 წ. ივლისში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, რომლის შედეგად „ქართული ოცნება“ მოვიდა თელავის მმართველობაში, ცხრა თვეა გასული. ეს დრო საკმარისია იმისთვის, რომ პირველი შედეგები შევამდგეს.

ალბათ, უპრიანია, ქალაქის სისუფთავისთვის გატარებული ღონისძიებებით დავიწყოთ. ეს პრობლემა არასახლია და მისთვის მეტ-ნაკლები წარმატებით ყველა მთავრობა იბრძოდა. ეგ არის თვითმმართველ ორგანოს მეტი საშუალება აქვს პირობების განსახალგვარო. შედეგად, ნაცვლად ორისა, ნავის გატანას ექვსი თვითმცლელი და ნაცვლად ერთისა, სამი სვეტ-მანქანა ემსახურება.

სისუფთავის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ იანვარში დაიწყო და ივნისში დასრულდება თელავის ხევის აღდგენა, რაც თავისთავად მის განმენდასაც გულისხმობს. ფსკერისა და გვერდულების ბეტონით მოპირკეთება, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს, 810 მეტრზე ჩატარდება და მასზე 1.100 ათასი ლარი დაიხარჯება. კეთილმოეწყობა ხევის მწვანე ნაპირები, გადისხურება ენ. იორდანის წყარო. გაიდება საფეხმავლო დეკორატიული თაღოვანი ხიდები, რაც სასიკეთოდ შეცვლის ქალაქის ცენტრალურ ნაწილის იერსახეს. იმედა და ამის წინამძღვრები არსებობს, რომ ამდაგვარი სამუშაოები რიყის სხვა მონაკვეთებზეც გაგრძელდება.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი ქალაქის წყალმომარაგებაში. დაიწყო ცენტრალური და შიდა მაგისტრალების, არსებული აუზის აღდგენა-რეაბილიტაცია. აშენდება ორი, თითოეული 2 500 ტონის ტყეადობის ახალი აუზი, რაც ძირეულად შეცვლის ქალაქის წყალმომარაგებას.

თელავის ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაცია, წყალმომარაგების ძირეული გაუმჯობესება და სისუფთავე, თავისთავად ცხადია, ფრიად მნიშვნელოვანია თავდად მოსახლეობისა და სტუმრებისთვისაც. მაგრამ არის ერთი საკითხი, უფრო კი მწვავე პრობლემა, რომელსაც თვალს უხუჭავდა ყველა ბოლოდროინდელი მთავრობა. ქალაქში კი არსებობს შიდა საკანალიზაციო ქსელი, მაგრამ მისი მიმღები და გამწმენდი ნაგებობა არაა. შესაბამისად ფუნქციონირებს ნაწილი ალაზნის არხში ჩაედინება, რაც გაუსაძლის ხდის მის სი-ახლოვეს მოსახლეთა ყოფას, ნაწილიც ღირად მიედინება ალაზნისაკენ.

იხ. 6 გვ.

ალთან-ჩალიანი

რას არ მოიუქრებენ თელავში

იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ გუშინ დააკავა პირი, რომელიც მოქალაქეებს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოხელეთა სახელით ატყუებდა და ყალბი პასპორტის, ასევე, სხვა დოკუმენტების დამზადების სანაცვლოდ ფულს სძალავდა. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული პირი, საქართველოს მოქალაქე (ი. ა.), ასევე, საქართველოს მოქალაქეს (დ. ბ.) ყალბი დაბადების მოწმობის, პირადობის მოწმობისა და საზღვარგარეთის პასპორტის დამზადებას პირდებოდა და ატყუებდა, რომ ამისთვის საჭირო იყო იუსტიციის სახლში მომუშავე პირებისათვის გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა.

„კერძოდ, დაკავებულმა პირმა (ი. ა.) საქართველოს მოქა-

ლაქეს (დ. ბ.) საქმის მოსაგვარებლად მოსთხოვა 4000 ამერიკული დოლარი, საიდანაც 1000 ამერიკული დოლარი წინასწარ გამოართვა, ვითომდა იუსტიციის სახლის თანამშრომლებისათვის გადასაცემად და თაღლითურად მიითვისა“, — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, გენერალურ ინსპექციაში 2015 წლის 6 თებერვლიდან მიმდინარეობს გამოძიება მოხელეთა მიერ შესაძლო ქრთამის აღების ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაული გათვალისწინებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 338-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დადგინდა, რომ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ქრთამის აღების ფაქტს ან დაკავებულ პირთან რაიმე ტიპის კონტაქტს ადგილი არ ჰქონია.

305 305 არის?

ამ სათაშრომით გამოაქვეყნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მორიგი კვლევა, რომელიც სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორების მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსების მდგომარეობას ასახავს. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების შესწავლის შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოავლინა ორი გუბერნატორის მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულყოფილად შევსებისა და, ერთის შემთხვევაში, სამწარმოო საქმიანობაში უკანონოდ ჩართულობის ფაქტები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ საქართველოში ამ დროისთვის მოქმედი 8 გუბერნატორიდან ორმა – კერძოდ, ქვემო ქართლისა და იმერეთის გუბერნატორებმა – ქონებრივი დეკლარაცია არასრულყოფილად შეავსო, დამალა რა საკუთარი ან ოჯახის წევრების ბიზნესნიღები, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დარღვევას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი, კვლევის მიხედვით, ქვემო ქართლის გუბერნატორმა პაატა ხიზანიშვილმა დეკლარაციაში არ აღნიშნა, რომ მისი მეუღლე არის შპს „კაბრიოს“ 100-პროცენტული წილის მფლობელი და დირექტორი. ამევე კვლევით, საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შენიშნავს, რომ იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე არის შპს

რა ქონებას ფლობენ გუბერნატორები?

„გროს ტურ ჯორჯიას“ 10-პროცენტული წილის მფლობელი და დირექტორი, მაშინ, როდესაც კანონი მას ამა თუ იმ საწარმოში თანამდებობის დაკავებას უკრძალავს. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ თანახმად, გუბერნატორის ქონებრივი დეკლარაციაში ასევე არ არის ასახული ის, რომ იგი არის რაგბის კლუბ „ყოჩებისა“ და ანსამბლ „ქართული ხმების“ გამგეობის წევრი. გივი ჭიჭინაძე, თავის მხრივ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პასუხად ამბობს: „არანაირი ქონებრივი წილი მე არ მიმიღია არც „ყოჩებიდან“, არც „ქართული ხმებიდან“ და, ზოგადად, არანაირი ბრუნვა არ არის. ის მესამე კომპანია რაც არის, უბრალოდ, ქალაქში არსებობს ის კომპანია, არანაირი ერთი ლარის ბრუნვაც კი არ განხორციელებულა იმ კომპანიაში და, ფაქტობრივად, ფუნქციონირებდაც კი არ დაუწყია იმ კომპანიას. რახან ეძებენ რაღაც-რაღაც მიზეზებს, კარგი იქნება საბანკო ბრუნვები ენახათ, რა ბრუნვები იყო იქ“.

გივი ჭიჭინაძე აცხადებს, რომ ან გააუქმებს, ან მორიგი დეკლარაციის შევსების მომენტში ქონებრივი დეკლარაციაში შემოსუნებულ კომპანიასაც შეიტანს. ამ

დროისათვის კი, – მაშინაც კი, თუ კანონი აშკარად დარღვეულია, – არც საჯარო სამსახურის ბიუროს და არც რომელიმე სხვა უწყებას საჯარო მოხელეების მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციების გადამოწმება და შესწორება არ ევალება. ეს ვრცელდება ცალკეული გუბერნატორების მიერ ქონებრივი დეკლარაციების არასრულყოფილად შევსების შესახებ, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დასკვნაზეც. საჯარო სამსახურის ბიუროს დეკლარაციებზე მუშაობის დეპარტამენტის უფროსი დემნა ლოპუნიძე ამბობს: „თანამდებობის პირის ვალდებულება კანონით დადგენილ ვადაში შეავსოს დეკლარაცია და ბიუროს ფუნქციაა მას შეუწყოს ხელი ამაში: დაუნიშნოს ვადები, გაუგზავნოს სპეციალური წერილი, სადაც არის მითითებული მისი მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლითაც ის ახერხებს დეკლარაციაში შესვლას და, სურვილის შემთხვევაში, დაუკავშირდეს ბიუროს, გამოიყვანოს ბიუროს ცხელი ხაზი და ონლაინ დახმარება და კვალიფიკური დახმარება გაუწიოს ბიუროს შესაბამისმა თანამშრომელმა თანამდებობის პირს დეკლარაციის შევსებაში. თუ არ ჩააბარებს კა-

ნონით დადგენილ ვადაში დეკლარაციას, ბიუროს ხელმძღვანელის უფლებამოსილება დააჯარიმოს 1000 ლარის ოდენობით. აი, აქ ამოიწურება ბიუროს მთელი უფლებამოსილება“.

საჯარო სამსახურის ბიუროს შეზღუდული მანდატი საკანონმდებლო სისუსტედ და ამ სისტემაში არსებულ ნაკლოვანებად მიაჩნია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პროგრამის ხელმძღვანელს ერეკლე ურუშაძეს. იგი ამბობს, რომ ამ მხრივ რადიკალურად შეცვლიდა ვითარებას სპეციალური ანტიკორუფციული სააგენტო, რომლის შექმნაც ორგანიზაციის მიერ ინიცირებული და რომლის ერთ-ერთი მოვალეობა იქნებოდა ქონებრივი დეკლარაციების გადამოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, სანქციის გამოყენება, თუნდაც ჯარიმის სახით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ კვლევამ კი, გუბერნატორების მიერ ქონებრივი დეკლარაციების შევსების არასრულყოფილების გარდა, კიდევ ერთ ტენდენციას გაუსვა ხაზი: კვლევამ აჩვენა, რომ გუბერნატორების შემთხვევაშიც იკვეთება ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებულ ფონდებსა და კომპანიებთან მათი კავშირები. კერძოდ, რვა მოქმედი გუბერნატორიდან ორი „ქართუ ბანკის“, ერთი კი საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ყოფილი თანამშრომელია.

ნონა მჭედლიშვილი

ალიან-ჩალიანი



მსოფლიო პირების კიბოს

2014 წელს მსოფლიო მასშტაბით კიბოს საწინააღმდეგო მედიკამენტებზე დანახარჯებმა 100 მილიარდ დოლარს მიაღწია.

აშშ-ის ჯანდაცვის საინფორმაციო ინსტიტუტის IMS რუფდერის ანგარიშის თანახმად, 2013 წელს შედარებით, ეს მაჩვენებელი 10,3 პროცენტით, ხოლო ბოლო ხუთი წლის მონაცემებთან შედარებით, 75 მილიარდით გაიზარდა.

IMS Health-ის ცნობით, კიბოს საწინააღმდეგო მედიკამენტებზე დახარჯული 100 მილიარდი დოლარი მსოფლიო მასშტაბით ყველაზე მედიკამენტზე დახარჯული თანხის 10,8%-ია. ამასთან ერთად, IMS Health-ის ანგარიშის თანახმად, 2015-2018 წლებში კიბოს საწინააღმდეგო მედიკამენტებში დანახარჯის ზრდა წლიურად 6-8% იქნება.

„კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების ბაზარზე ძირითადი მომხმარებელი 2014 წელს აშშ იყო, რომელსაც გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და იტალია მოჰყვება“. – ნათქვამია ანგარიშში. 2010-2014 წლის პერიოდში კიბოს საწინააღმდეგო 45 ახალი მედიკამენტი გამოვიდა.

თვითმმართველობა

აქვე არ შეიძლება (მხუთა მხარე) არ ითქვას, რომ გასული საუკუნის ოთხმოცედი წლებში სათანადო გამწმენდი ნაგებობა თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი, მაგრამ ცნობილი მოვლენების შემდეგ იგი დაინგრა და აგურაგურ დაიშალა. სადღესასწაულები, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მუშავდება ახალი 12-კილომეტრიანი კოლექტორისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ყოველივე 10 მილიონი ლარი დაჯდება. ძვირია, მაგრამ სრულყოფილი მონაცემების გარეშე, ქალაქი (რაგინდ ძველიც არ უნდა იყოს იგი!) არ ჩაითვლება ქალაქად!

სხვა სერიოზული პრობლემაა, ქალაქის გენგეგმის არარსებობა. შესაბამისად, მისი განაშენიანება, გარკვეულწილად სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან სათანადო სამუშაოების ჩასატარებლად. არის საფუძვლიანი იმედი. თელავთან დამეგობრებულ ქალაქ ბიბერახის მონაწილეობით, ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება.

აღსანიშნავია უძველესი თელავის თეატრის, რომელსაც დახურვით ემუქრებოდა წინა ხელისუფლება, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, 300 ათასი ლარიდან წლიური დაფინანსება 500 ათას ლარამდე გაიზარდა. ამ საქმეში გვერდიგვერდ იდგან ეს როგორც თეატრის, ასევე ქალაქის ხელმძღვანელობამ.

4.

ზამთრის ჩვენ ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვან, მიმდინარე და მოსალოდნელ მშენებლობებზე ვისაუბრეთ. ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც 9 მილიონ ლარს შეადგენს, ბუნებრივია, ვერ გასწვდება მათ. თუმცა, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა, ინვესტორების მოზიდვა, მათთვის მისაღები პირობების შექმნა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ამ თვალსაზრისით, თელავის ამჟამად მერს პლატონ კალმახელიძეს, საკმაოდ მენეჯერული გამოცდილება აქვს. შპს „ავერსი-ფარმასა“ თუ შპს „მობიტელში“ მუშაობისას მის „ნამსახურების სიაში“ ხშირია აღნიშვნები: „წლის ყველაზე კომუნიკაბელური თანამშრომელი“, „წლის ყველაზე შედეგიანი თანამშრომელი“, „ურ-

თელავის მერიის პირველი იმედიანი ნაბიჯები



თიერთმოქმედების ლიდერი“ და სხვა. შესაძლოა, ეს ვინმე უბრალო ფორმალობად მიიჩნიოს, მაგრამ ხალხთან ურთიერთობა მერს რომ არ უჭირს, ეს ეჭვს არ იწვევს. ორშაბათობით მისი სამუშაო ოთახის კარი რომ ყველასათვის ღიაა, ეს თავისთავად ასევე ხშირია შეხვედრები გარკვეულ სოციალურ ჯგუფებთან, როდესაც მსჯელობა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაზე კონკრეტულ სახეს იძენს. რა თქმა უნდა, ყველა მოთხოვნას თუ სურვილს ასრულებს არ უნერია, მაგრამ დასაბუთებულ უარსაც ხომ თავისი ნონა აქვს!

მოსახლეობისთვის მეტად მტკივნეულია უყურადღებობა და იოლად მოსაგვარებელი საქმის მიყურისძირება. როგორც ადრეც ითქვა, რეაბილიტაციამ ქალაქში არაერთი პრობლემა გააჩინა. ერთ-ერთი მათგანი ერეკლე მეორის ქუჩაზე ყველაზე ხალხმრავალი და აქედან გამომდინარე, საჭირო, გაუქმებული გადასასვლე-

ლის აღდგენა იყო. საქმე არც დიდ ფულს ითხოვდა და არც დიდ ძალისხმევას, მაგრამ მხოლოდ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მოხერხდა მოსახლეობის მოთხოვნის აღსრულება. იგივე ითქმის პარკ „ნადიკვარზე“, სადაც უამრავი ფული დაიხარჯა საიმისოდ, რომ ყველაფერი თავდაყირა დამდგარიყო. მიუხედავად თელაველთა დარბაზის არაერთი მოთხოვნისა, მათ შორის საპროტესტო აქციისა, არსებული ვითარების კორექტირება მხოლოდ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ გახდა შესაძლებელი. გადაადგილდა ხედის დამფარავი ნარგავები, ბალახის საფარიდან აიყარა „კისრისსატყეხი“ ბეტონის განქვლები. პერსპექტივაშია სრულიად გაუაზრებელი ბილიკის მიზეზით, პარკის ერთიანი სივრცის შუაზე გამყოფი, მშრალი ხიდი „დამშენებული“ თხრილის ამოვსება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თელაველთა დარბაზისა და ქალაქის

თვითმმართველობის ურთიერთობა. დარბაზში გაერთიანებულნი არიან ისტორიკოსები, პოეტები, მწერლები, არქიტექტორები, მშენებლები, ხალხი, ვისაც დიდი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. მისი უცვლელი ხელმძღვანელია ლვანტოსიანი კომპოზიტორი ჯუმბერ სახივილი. დარბაზის ხშირი სტუმრები არიან ქალაქის მერი და მერიის სხვა თანამშრომლები. სწორედ აქ იმართება დაინტერესებული საუბარები ქალაქის საჭირობო საკითხებზე.

მათგან ერთ-ერთი უმთავრესია რვაასწლოვანი ჭადრის ბედი. რამდენიმე წლის წინათ ხეს მესი დაეცა, დაზიანდა მისი ფუძე, რის შედეგად დარჩენილი სიცარიელე ამოივსო ცემენტის ხსნარით. თუმცა, ამან ვერ შეაჩერა მისი ლპობა.

– აშკარა გახდა კვალიფიციური, მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილების საჭიროება, – გვიყვება მერიის პირველი მოადგილე თენგიზ მთავრელიშვილი, რომელსაც ჭადრის გადარჩენასთან დაკავშირებული სამუშაოთა კოორდინაცია ევალებოდა.

მერიამ დახმარებისთვის მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს. პროცესში ჩაერთვნენ „პროფესიონალთა გაერთიანება ხის მოვლისთვის საქართველოში“ და გერმანელი სპეციალისტები. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს ექსპერტი ბატონი დეტლევ კოხი, რომლის უანგარო გარჯითაც, სადღესასწაულებს დაზარალებული ღონისძიებები ისტორიული ხის გადასარჩენად. ეს არის ძირითადი ტოტების დამსუბუქება, გვირგვინის შეკვრა სპეციალური თოკებით, ფუძის დამუშავება და სხვა. რაკილა სამუშაოთა თანამიმდევრობა დადგენილია, წელიწადის შესაბამის დროს, მოხდება მათი ჩატარება და იმედი, თელაველები და ქალაქის სტუმრები, კიდევ დიდი ხნის მანძილზე შეავლენ თვალს ბუნების ამ მნიშვნელოვან საჩუქრას და ძეგლს.

რა თქმა უნდა, ქალაქის წინაშე მდგომი ამოცანები მრავალფეროვანი და საპასუხისმგებელია. მერიაც გზის დასაწესი შიდა განვლილი ცხრა თვე იმედს იძლევა, რომ საზოგადოებისა და თვითმმართველობის ურთიერთთანამშრომლობით, მათი მოგვარება წარმატებით მოხერხდება.

ზურაბ არსენიშვილი. ჩვენი სპ. კორ. თელავი-თბილისი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რა ელოდება საქართველოს ევროკავშირის რიგის სამიტზე

ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის რიგის სამიტამდე ორი კვირით ადრე საქართველოს მთავრობის მინისტრები ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ ევრობის დედაქალაქებში. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, მიიღოს მხარდაჭერა ევროკავშირის იმ ქვეყნებისგან რომლებიც თავს იკავებენ საქართველოსთან უფრო რეჟიმის ამოქმედებისგან. მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენელთა ოპტიმისტური განცხადებებისა, თბილისში სულ უფრო ხშირად საუბრობენ პროგნოზებზე იმის შესახებ, რომ რიგის სამიტზე საქართველომ შეიძლება ვერ მიიღოს მოსალოდნელი შედეგები.

ერთბაშად საქართველოს მთავრობის 4 მინისტრი უცხოეთშია წასული. ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხების სახელმწიფო მინისტრი არის — მადრიდში, იუსტიციის მინისტრი — პარიზში, შინაგან საქმეთა მინისტრი — ბერლინში, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი — ბრიუსელში. ევროპაში მთავრობის „დესანტს“ ერთი მიზანი აქვს — დაარწმუნოს ევროკავშირის ქვეყნების ხელისუფლებანი იმაში, რომ თბილისი იმსახურებს უფრო რეჟიმის მიღებას ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის რიგის სამიტზე. საიდუმლო როლია, რომ შენგენის ზონის ზოგიერთი ქვეყანა თავს იკავებს ამისგან. თუ რომელი ქვეყანაა ესენი — ძნელი მისახვედრი როლია, თუ ქართველი მინისტრების მოგზაურობათა მარშრუ-

ტებს გადავხედავთ. ამ ფონზე თბილისში განსაკუთრებული სიხარულით მიიღეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ ვალტერ შტიანმაიერის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ბერლინში ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ: „ამ მომენტში არ ვფიქრობ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა სკეპტიკურად უნდა უყურონ სავიზო ლიბერალიზაციის პერსპექტივას“.

მაგრამ მეტი საბაბი ოპტიმიზმისათვის აღარ დარჩა. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ელვისებურად მოიცვა ციტატამ „როტიერის“ სააგენტოს ყურნალისტის რობინ ემოტის სტატიიდან იმის შესახებ, რომ 21-22 მაისს რიგაში საქართველოს ძალიან ცოტა რამეს შესთავაზებენ. ავტორი ამტკიცებს, რომ შეძლო, გაცნობოდა ევროკომისიის დასკვნის ვარიანტს იმ მუშაობის შესახებ, რაც თბილისში შესრულდა იმ პირობებთან დაკავშირებით, რაც აუცილებელია ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისთვის. იმის შესახებ, რომ საქართველო არ უნდა ელოდეს რიგის სამიტზე სასურველ სავიზო ლიბერალიზაციას, რამდენიმე დღით ადრე ცნობილი გახდა თავისუფლების რადიოს ბრიუსელელი კორესპონდენტისათვის.

საპარლამენტო ოპოზიციისთვის ეს ინფორმაცია ეჭვს არ იწვევს. ნაციონალურმა მოძრაობამ და, თავისუფალმა დემოკრატებმა უმაღლესი გააგრძელეს

ხელისუფლების კრიტიკა არაფეტიკიანი მუშაობის გამო.

თავის მხრივ, პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა მოუწოდა საზოგადოებას — ნუ იქარებენ დასკვნებთან დაკავშირებით: „დარწმუნებული ვარ, რომ რიგის სამიტზე დადასტურდება — ჩვენ კეთილსინდისიერად ვმუშაობთ და ვდგავართ იმ გზაზე, რომელიც შედეგს მოგვითმის“.

მიუხედავად ამისა, საქართველოში სულ უფრო მეტი მეთვალყურე არის იმ აზრისა, რომ ლატვიაში არ უნდა ევლოდოთ დიდ გარღვევას. და, როგორც პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილი ამბობს, არასწორი იქნებოდა, ბრალი დავდოთ ამაში მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას. არ უნდა დავივიწყოთ სიტუაცია უკრაინაში, რომელიც ასევე აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამაში შედის, არც ევროკავშირის დაძაბული ურთიერთობანი რუსეთთან.

„ვეფიქრობ, რომ საქართველოს მისცემენ თანხმობას უფრო რეჟიმზე მოგვიანებით, მიმართა, ეს მოხდება წლის ბოლოსათვის. ეს გადაწყვეტილება რომ ძალაში შევიდეს, დაგჭირდება კიდევ 6 თვე. ასე თუ ისე, საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან ექნება უფრო რეჟიმი როგორც 2016 წელს იგეგმებოდა, თუმცა, ზუსტად როდის — ჯერჯერობით უცნობია.“

თავისი პროგნოზის მხარდასაჭერად კახა გოგოლაშვილს მოჰყავს მოლდოვის მაგალითი. თანხმობა ევროკავშირისაგან უფრო რეჟიმის შემოღების შესახებ კიშინიოვმა მიიღო არა ვილნიუსის სამიტზე 2013 წელს, არამედ რამდენიმე თვის შემდეგ სამიტის გაცილებით თავმდაბლურ ვითარებაში“.



დედაქალაქის ზურგზე



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს უკრაინაში კრიზისის მოწინააღმდეგე რუსეთთან დიალოგის იმედი აქვს

განაცხადა რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ტეფტმა. მისი აზრით, ჩავარდნა რუსეთის ეკონომიკაში ბიზნესს გაცილებით მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე სანქციები.

მძსპერ ტეფტის საერთაშორისო ჯგუფმა დონბასში კრიზისის მოწინააღმდეგისათვის მუშაობა დაიწყო

საინსპექციო ჯგუფი ჩავიდა უკრაინის აღმოსავლეთში ლონისძიებათა განსახორციელებლად ვენის 2011 წლის დოკუმენტის ფარგლებში. ორი კვირის განმავლობაში სპეციალისტები შეისწავლიან ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ხელს შეუწყობენ კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებას.



ტორნადო ოკლაჰომას თავში: დაინებრა ათობით სახლი, არის წყალდიდობის საფრთხე

უძლიერესმა ქარმა დაანგრია ათობით სახლი, ნააქცია ხეები და ელექტროგადამცემი ხაზები, მიმოყარა ავტომობილები. ადგილ-ადგილ წამოვიდა გოლფის ბურთის სიდიდის სეტყვა, შტატის დედაქალაქს კი წყალდიდობა ემუქრება.



პენტაგონი იწყებს სირიის ოპოზიციის სამხედრო მომზადებას, გზაუწყებელმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა

სირიელებს მოამზადებენ თურქეთსა და იორდანიაში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლისათვის. როგორც სიენ-ენი აღნიშნავს, ოფიციალური პირები აღიარებენ: არსებობს იმის რისკი, რომ ვინმემ მომზადებული მებრძოლები შეიძლება იარაღი შეატრიალოს პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ვარჯიშის მიზანი არაა.



თამარ ბერუაშვილი: რუსები ამოწმებენ, რამდენად შორს წასვლა შეუძლიათ

გერმანული გაზეთის „Die Welt“-ის გუშინდელ, 7 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუაშვილთან, რომელიც ამჟამად ბერლინში ვიზიტით იმყოფება.

გაგაცნობთ ინტერვიუს მთავარ თემებს:

ა) საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და უკრაინის კრიზისი

„ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან საკმაოდ რთულია: საქართველოს ტერიტორიის 20% მოსკოვს აქვს ოკუპირებული. საქართველოს მთავრობამ 2012 წლიდან კურსი ურთიერთობის განმარტვისაკენ აიღო, გაუმჯობესდა ეკონომიკური კავშირები, მაგრამ პოლიტიკური სიტუაცია ისევ დაძაბულია: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ისევ რუსეთის კონტროლქვეშ რჩება. ამას წინათ რუსეთმა ამ რეგიონებთან ხელი მოაწერა შეთანხმებებს, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გავლენა. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პრობლემის მშვიდობიანად და დიპლომატიური გზებით გადაწყვეტას, თუმცა, რუსეთის სტრატეგია კონფლიქტის მოგვარებას არ ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო მხარდაჭერა.“



2008 წელს, როცა რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, ევროპამ შეძლო, ჩვენს შორის ზავი დაემყარებინა, თუმცა, რუსეთი დაუსჯელი დარჩა: მოსკოვისათვის სანქციები არ გამოცხადებულა და ევროპამ სულ მალე მასთან სტრატეგიული ურთიერთობები აღადგინა. რუსეთმა დაინახა, რომ მისი დასჯა საქართველოს გამო ვერ გაბედეს. დასავლეთი რომ უფრო მკაცრად მოქცეულიყო, ალბათ, მოსკოვი უკრაინის მიმართ ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამდა. ჩვენ რუსეთთან სამშუხარო გამოცდილება გვაქვს — სამშვიდობო შეთანხმების პირობები მოსკოვს არ შეუსრულებია. იმავეს აკეთებს რუსეთი მინსკის შეთანხმებასთან მიმართებითაც. თუმცა, რა თქმა უნდა, დასავლეთს რომ სანქციები არ გამოეცხადებინა, რუსეთი უფრო უარესს იზამდა — ვლადიმერ პუტინს ხომ გავლენის სფეროების აღდგენა სურს. გავიხსენოთ, რომ მან საბჭოთა კავშირის დაშლა მე-20 საუკუნის უდიდეს კატასტროფად მიიჩნია.“

ბ) საქართველო და ევროკავშირი

„ქართველების 85%-ს ევროპასთან ინტეგრირება სურს. ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ვახორციელებთ რეფორმებს, რომლებიც მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენ ამას ბრიუსელისა და ბერლინის დასახნავე ვი არ ვაკეთებთ, არამედ საკუთარი თავისთვის, ჩვენივე სარგებ-

ლობისათვის. უკვე მივალნივთ გარკვეულ წარმატებებს სამართლებრივი სისტემისა და ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების საკითხებში, სიტყვის თავისუფლებისა და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ასევე გაუმჯობესდა ეკონომიკური მაჩვენებლებიც: ევროპაში ქართული პროდუქციის ექსპორტმა 35 პროცენტით მოიმატა“.

შეკითხვა: ევროკავშირის შუალედურ მოხსენებაში საქართველოს შესახებ უდიდესი სურათი იქნა წარმოდგენილი, ნაკლოვანება ბევრია: საქართველოში არაა სრულყოფილი ხელისუფლების დანაწილება ოპოზიციისათვის ერთად, არ შეიმჩნევა სასამართლოს დამოუკიდებლობა...

თამარ ბერუაშვილი: ჩვენი ქვეყნის მოდერნიზება და ევროპიზაცია ხანგრძლივი პროცესია და ვიმედოვნებ, მას წარმატებით დავასრულებთ. ჩვენთვის ევროკავშირის რჩევები სასურველი და სასარგებლოა. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის გამჭვირვალობა და გულწრფელობა...

შეკითხვა: ვინ არის რეფორმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი? პოლიტიკური სტაბილურობა საკმაოდ მყიფეა, მინისტრები მოდიან და მიდიან, ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ გავლენას ახდენს სიტუაციაზე...

თამარ ბერუაშვილი: ვერ გავიზიარებ თქვენს კრიტიკას. ქართული დემოკრატია ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მინისტრთა კაბინეტში მომხდარი ცვლილებები კი გასაკვირი არ არის.

შეკითხვა: ევროკავშირმა კრიზისის გამო მიმზიდველობა გარკვეულწილად დაკარგა. რატომ ისწრაფვის საქართველო განვეერიანებისათვის?

თამარ ბერუაშვილი: დემოკრატია, ტოლერანტულობა, სამართლიანობა, მშვიდობა, კეთილდღეობა — ეს ის ფასეულობებია, რომლებსაც ვიზიარებთ და რომლებიც ევროპასთან გვაერთიანებს. ევროპელები ამ ყველაფერს ჩვეულებრივად მიიჩნევენ, მაგრამ დღეს ჩვენთვის მათი დაცვა აუცილებელი ხდება.

შეკითხვა: რომელი უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის — NATO-ში განვერიანება თუ ევროკავშირში?

თამარ ბერუაშვილი: ჩვენ ორივეში განვეერიანებას ვესწრაფვით. შიდაპოლიტიკური სტაბილურობა და კეთილდღეობა საიმედო საგარეო-პოლიტიკური დაცვის უზრუნველყოფის გარეშე ვერ მოხერხდება. საქართველო გერმანიისაგან მხარდაჭერას ელოდება, განსაკუთრებით ვიზალიბერალიზაციის საკითხში, 21 მაისს, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნების რიგის სამიტზე. ჩვენ ევროპას საკუთარ შესაძლებლობებს ვთავაზობთ: საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მომგებიანი მდებარეობა და კარგი ბაზარი აქვს. საქართველოს ევროპასა და აზიას შორის ენერგორესუსებით ვაჭრობისა და ენერგეტიკული ხიდის როლის შესრულება შეუძლია.

მომზადდა სიმონ კილაძემ.

უმბის მეტი რა უნახავს კაცობრიობას: იყო ხანმოკლე და ხანგრძლივი, რანდული და დაუნდობელი, სამართლიანი და უსამართლო, სპარტისტული და სამოქალაქო ომები თავიანთი გამარჯვებითა და ანტიგამარჯვებით, მაგრამ ისეთი მასშტაბის დამანგრეველი და სისასტიკით გამორჩეული, როგორც მეორე მსოფლიო ომი იყო, ისტორიას არ ახსოვს. საომარ მოქმედებებში, პირდაპირ თუ ირიბად ჩათრეული აღმოჩნდა ევროპის ყველა ქვეყანა, აზიისა და ამერიკის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

უმიზეზოდ არაფერი ხდება ამ ცისქვეშეთში და, ცხადია, არც — ომები. ომის დაწყების საბაბი შეიძლება ერთობ არასერიოზულიც იყოს (მაგალითად, ფეხბურთის მატჩის შედეგის გამო ორმა ლათინურამერიკულმა ქვეყანამ ომი რომ გამოუცხადა ერთმანეთს!), მაგრამ მის უკან სერიოზული მიზეზები იმალება. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის შემთხვევაშიც. ფაშისტური და მილიტარისტული რეჟიმების მოსვლას ევროპისა და აზიის ზოგ ქვეყნებში ერთობ სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებდა. საკმარისია რემარკის „სამი მეგობარი“ ნაიკითხო და თვალნათლივ დაინახავ რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიდუსტრეშია ჩავარდნილი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია, რომელსაც გამარჯვებული ანტანტის ქვეყნებმა, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობა ლამის აუკრძალეს. აი, ამ დროს გაიმარჯვეს არჩევნებში ნაციონალ-სოციალისტებმა და გერმანიის კანცლერის პოსტზე ჰიტლერი აღზევდა.

ჰიტლერი უჭკუო კაცი არ იყო. მეტიც! იგი უდავოდ იყო ეროვნული ლიდერის თვისებების მატარებელი და ამიტომაც ზუსტად აულო ალო იმ განწყობას, რაც იმდროინდელ გერმანელებში იყო დამკვიდრებული. წარმატებებსაც სწრაფად მიაღწია, განსაკუთრებით პრუსიული მილიტარისტული მისწრაფებების საყოველთაო გერმანულ თვისებად გადაქცევაში.

ახლა გვიკვირს, ისეთი რაციონალური ეთნოფსიქიკის მქონე ერმა, როგორც გერმანელები არიან, როგორ დაიჯერა საკუთარი რასობრივი უპირატესობა და თავისი ისტორიული მეზობლები როგორ მიიჩნია მეორეხარისხოვან ხალხებად. არა და დამშეულ და დაჩაგრულ ხალხს ადვილად მოახვევ თავს იმ იდეოლოგიას, რომელიც მას შიშობისა და ჩაგვრისაგან გათავისუფლების იმედს მისცემს. სწორედ ასე იყო 30-იანის წლების დასაწყისის გერმანიაში.

ევროპის ლიდერი სახელმწიფოები — საფრანგეთი და ინგლისი კარგად ხედავდნენ (არ შეიძლება არ დაენახათ!), როგორ დგებოდა ფეხზე მათ მიერ „გალახული“ გერმანია და როგორ ძლიერდებოდა მასში რევანშისტული სულიკვეთება. ჰიტლერი ხომ არც მალავდა ამას! ამის მიუხედავად, ისინი ხელს



კი არ უშლიდნენ მის მილიტარიზებულ კურსს, არამედ ყოველნაირად ახალისებდნენ მას, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ იგი აღმოსავლეთისაკენ მიმართავდა თავის ენერჯიას, რადგან მისთვის „სასიციცხლო სივრცე“ სწორედ იქით ეგულებოდათ. იქით კი...

აღმოსავლეთით სრულიად ახალი სამყარო იქმნებოდა და საბჭოთა კავშირის სახით, რომლის მხოლოდ არსებობაც კი სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა „დასავლურ სამყაროს“. ეს „საფრთხე“ დაკავშირებული იყო არა იარაღთან და ვართან, არამედ მრწამსთან. დასავლური, ანუ კაპიტალისტური სამყარო ეფუძნება იმ რწმენას, რომ გამარჯვებული და წარმატებულია ის, ვინც კონკურენტული ბრძოლიდან ნაუგებლად გამოვა; კონკურენტული დაპირისპირება განსაზღვრავს ვინ და რა არის სიციცხლო სივრცის და ვის და რას უწერია გადაშენება. ბუნების კანონიც ხომ ეს არის: სუსტი მარცხდება, ძლიერი იმარჯვებს, ვინმეს სურს თუ არა ეს! მეორე სამყარო კი ეფუძნებოდა პრინციპს: უნდა გაიმარჯვოს და განვითარდეს ის, რაც საზოგადოების ყველა წევრისათვის არის სასარგებლო, რადგან საზოგადოების ყველა წევრი თანასწორი და თანაბარუფლებიანია იმ ღირებულებების მიმართ, რასაც კაცობრიობა თავისი არსებობის საფუძვლად მიიჩნევს.

ეს უკანასკნელი ერთობ მიმზიდველი და მომხიბველია რიგითი ადამიანების, მშრომელთათვის. ამიტომ, მსგავსი იდეოლოგია საფრთხეს უქმნის იმ საზოგადოებას, რომლის სათავეში ქონებრივი თუ წოდებრივი პრივილეგიების მქონენი არიან თავმოყრილნი. სწორედ ამიტომ, დასავლური კაპიტალი ყოველმხრივ უწყობდა ხელს გერმანიის მილიტარიზმს და ცდილობდა მისი მახვილი საბჭოთა კავშირისკენ მიემართა.

მეორე მსოფლიო ომის წინ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა ევროპაში, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია: კაცი ბჭობდა, ლმერთი იცინიდაო. ინგლისისა და საფრანგეთის ხელშეწყობით გაცოცხლებულ-გათამამებულმა გერმანიამ პრეტენზიები ჯერ მათ წაუყენა და კარგადაც წაუთქა: ერთი მათგანი კიდევ დააჩოქა,

მეორის დაჩოქებასაც აღარაფერი აკლდა. ისევ ქართული ანდაზით უნდა ავხსნა გერმანიის ასეთი „უმადურობა“: ობოლო ვის მოკლავო და ვინც გამზარდა იმასო. აი, ასე!

გერმანიამ ევროპა რომ ფეხქვეშ გაიგდო (ზოგი თავისი ნებით დაუნვა, შიშით, რა თქმა უნდა!), ისე გადიდგულდა, რომ რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება გასეირნებად ჩათვალა და მაშინდელი გერმანელებიც დაარწმუნა „ბლიტ-კრიგის“ უეჭველ წარმატებაში.

ისტორიკოსები ხშირად გამოხატავენ გაკვირვებას იმის გამო, თუ როგორ მოუვიდათ გერმანელ სტრატეგებს ისეთი „იალიში“, რომ დასავლეთში ჯერ კიდევ გაუნადგურებელი ინგლისი ჰყავდათ და აღმოსავლეთში უზარმაზარ ქვეყანას დაუნყეს ომი. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით თუ ეს „იალიში“ გასაკვირია, ფსიქოლოგიურად იგი ადვილად აიხსნება: ჯერ ერთი, ჰიტლერმა და მისმა გარემოცვამ მართლა ირწმუნეს, რომ გერმანული რასა მართლაც

გიკამ და ნებისყოფამ იოტისოდენი შანსი არ მისცა არავის, პროვოკაციაზე წამოეგოთ საბჭოთა დიპლომატია თუ შეიარაღებული ძალები.

სტალინის სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და როგორც მასთან დაახლოებული ადამიანები აღ-



დიდი სახალხო

ნიშნავენ, იგი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო და კარგად იცოდა, რომ „პირველითგან იყო სიტყვა...“ ამიტომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვას, რომელიც ვერბალურად მიეწოდებოდა ხალხს, მუსიკით თუ ნახატივით. სწორედ ამის გამო იყო, რომ ომისათვის ინტენსიური მზადებისას, საგანგებოდ ზრუნავდა როგორც წითელი არმიის საბრძოლო შეიარაღების, ისე ხალხის სულიერი სიმტკიცისათვის. დღეს უკვე უდავოდ არის მიჩნეული, რომ ალექსანდროვის სიმღერა „წმიდათაწმიდა ომი“ („Священная война“) და თოდის პლაკატი „დედა-სამშობლო გვეძახის“ („Родина-Мать зовёт“) ომამდე იყო მომზადებული სტალინის დავალებით, რა თქმა უნდა, და ომის დაწყებიდან მეორე-მესამე დღეს უკვე მთელი ხალხის საკუთრებად იქცა. დიდნილად, სწორედ ამ ორმა მხატვრულმა ქმნილებამ გერმანულ ფაშიზმთან საბჭოთა კავშირის ომი დიდ სახალხო ომად აქცია.

1941 წლის 22 ივნისს მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირისთვის დიდ სამამულო ომად იქცა და მთელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოსკოვის კრემლი მოექცა, რადგან იქ მუშაობდა ის კაცი, რომლის იმედად იყვნენ გერმანიასთან მეომარი ქვეყნები და მათი ლიდერები: ისინი, რომლებიც ლიბერალურად იყვნენ განწყობილნი საბჭოეთისადმი და ისინიც, რომლებიც სოციალიზმთან და სტალინთან შეურიგებლობით იყვნენ ცნობილნი. ამის მაგალითია დიდი ჩერიტანეთის ცნობილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომელსაც, ინგლისელ პუბლიცისტს იან გრეის თუ დავუჯერებთ, 1941 წლის ივნისის ბოლოს უთქვამს, მშვიდად მხოლოდ მას შემდეგ მძინავს, როცა შევიტყვე საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმა, რაც ჰიტლერის უთუო დამარცხებას ნიშნავს.

1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტური ურდოები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს და წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობები და უკან დახევა სრულიად ბუნებრივი და გამართლებული იყო. გერმანიის ვერმახტის შეიარაღებული ძალების უკან მთელი ევროპის ეკონომიკა იდგა განვითარებული ინდუსტრიითა და მძლავრი კაპიტალით. იმდროინდელი მოდერნიზებული რუსეთის იმპერია კი ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩებოდა ევროპას. 1931 წელს ი. სტალინი თავის ცნობილ სიტყვაში XVIII პარტკონფერენციაზე ამბობდა: ჩვენ 50 წლით ჩამორჩებით ევროპას და თუ ეს ჩამორჩენა ათ წელიწადში არ დაეძლიეთ, გაგვანადგურებენო. აი, რას წერს ცნობილი ფრანგი მწერალი როჟე გარუდი, რომელიც საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიით არასოდეს გამოიჩინოდა: „მართალი გამოდგა სტალინი, როცა 1931 წელს ამბობდა, თუ ჩვენ წელიწადში მილიონ ტონა ფოლადის წარმოებას არ გადავაჭარბებთ, ათ წელსაც არ დავაცდიან, ისე მოგვიღებენ ბოლოსო. მას რომ ეკონომიკის განვითარების იმ საოცარი ტემპებისათვის არ მივლენია, დღეს ოსვენციმის გაზის კამერებში ვიქნებოდით ამომხრჩვალნი. გარკვეულ ისტორიულ პირობებში ის უნდა აკეთო, რაც აუცილებელია, თუნდაც არაადამიანური გარჯა დაგჭირდეს. აი, ამგვარად ირჯებოდა საბჭოთა ქვეყნის იმდროინდელი წინამძღოლი და სხვებსაც აიძულებდა ასევე გარჯილიყვნენ. სწორედ ამან ათქმევინა აშშ-ის უდიდეს საავტომობილო მაგნატს ჰენრი ფორდს 1929 წელს ამერიკის სენატში გა-

მოსვლისას: „კომუნისტებმა, მიაღწიეს ეკონომიკის განვითარების ისეთ მასშტაბს, რომელიც აღემატება ყოველივე იმას, რაც ისტორიამ იცის“.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ომი ყველა განზომილების მიხედვით, ისეთი მასშტაბისა იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის სხვა მონაკვეთები პერიფერიებზე უმნიშვნელო კინკლაობად ჩანდა.

რუსული ანდაზა ასეთი: „Один на поле не войн“ (ბრძოლის ველზე მარტო კაცი მეომარი არ არის!). დიდმა სამამულო ომმა ეს ანდაზა გააბათილა. რაც უნდა ამტკიცონ ისტორიკოსებმა და პოლიტოლოგებმა „საბჭოთა ხალხის“ უმაგალითო გმირობა, წითელი არმიის მეთაურების სტრატეგიული ნიჭიერება და სიმამაცე, იმ დიდ ომში „ძღვენი საკვირველი“ სწორედ ერთი კაცის გენიაზე იყო დამოკიდებული. მარშალმა გიორგი ჟუკოვმა, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში როდესაც ჰკითხეს, რამ გადაწყვიტა ომის ბედით, უპასუხა: 1941 წლის 7 ნოემბრის პარადზე სტალინის გამოსვლამო.

მართლაც! ეს არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი, ძალის დემონსტრირება ან დათვალერება. ეს იყო იმედისა და რწმენის სასწაულებრივი გამოცხადება, რისი ორგანიზებაც ჩვეულებრივ ადამიანურ ბუნებას არ შეუძლია...

1941 წლის შვიდი ნოემბრისთვის გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოსკოვის წითელი მოედნიდან 30-40 კილომეტრით იყვნენ დაშორებული. ვერმანის გენერლები მოსკოვში საზეიმო შესვლისთვის ემზადებოდნენ და პიტლერს მოსკოვის კომენდანტი უკვე დანიშნული ჰყავდა. და როდესაც სტალინმა გენშტაბის

სალ კლდედ აღიმართა ფაშისტური ურდოების წინაშე. ბოროტმოქმედი ხრუშჩოვის ლაქუცა ვაი-ისტორიკოსები და ნაძირალა გენერლები ანტისტალინური ისტერიის პერიოდში გამოცემულ „ნაშრომებში“ ყბედობდნენ იმაზე, რომ სტალინი სამხედრო საქმეში ვერ ერკვეოდა და რუკის წაკითხვაც არ შეეძლოო. მათგან განსხვავებით აი, რას ამბობს დიდი ბრიტანეთის მაშინდელი გენშტაბის უფროსი ალან ბრუკი: „მე ძალიან მალე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ამ კაცს აქვს სამხედრო სპეციალისტის აზროვნება და ისიც ყველაზე დიდი კალიბრისა“. ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იმ პერიოდში წერს: წითელი არმიის წარმატებებს შეიძლება უწოდო საოცრება, თანამედროვე საოცრება, სტალინი კი ამ საოცრების შემოქმედი იყო. აი, ასე და არა ისე, როგორც რაძინსკი და პარკეტის გენერალი ვოლკოგონოვი ფიქრობენ.

პატიოსანი ადამიანები საბჭოთა კავშირში სიცოცხლის ფასადაც კი არ ერიდებოდნენ სიმართლის თქმას სტალინზე ე. წ. „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ ბრძოლის მიქინვარე პერიოდშიც კი. სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი ომგადახდილი ცნობილი რუსი პოეტის კონსტანტინე სიმონოვის ლექსი – „დადგით ბიუსტი სტალინის საფლავზე“:

„Он был велик. Его не оболгать,
Он был наш вождь и мы его любили –
Лежит плита... так сколько-ж можно ждать
Поставьте не Сталинском могиле!“

ძალიანაც რომ უნდოდეს ვინმეს (უნდოდათ კიდეც!),

„სხვა დროშიც, სწორედ არის წყლის ნაყვამთელ მსოფლიოში იმის მტკიცება, თითქოს სტალინის სახელს არ დადევნა ფოლადისა და რვალის თვისება“.
(პოემიდან „შორეთს იქითა შორეთი“).

სტალინის სახელთან სამშობლო იყო გაიგივებული, ამიტომ მონოდება – „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ საყოველთაო ლოზუნგად იქცა დიდ სამამულო ომში. ანტისტალინისტები იტყვიან, შიშისგან ყვიროდნენ ამ ლოზუნგსო. განა უეჭველ სიკვდილზე რომ მიდის კაცი, იმის სახელს დაიძახებს, რომლისაც ეშინია, თუ იმისას, ვისიც სწამს და იმედი აქვს? ეს რიტორიკული კითხვაა, რომლის პასუხი ყველა ნორმალურ კაცს აქვს.

„შიში შეიქმს სიყვარულსა“-ო, – რუსთველმა ბრძანა. ეს ოდითგან სადავო დებულება სწორედ სტალინთან დაკავშირებით გაცხადდა დიდი სამამულო ომის პერიოდში: სტალინი უყვარდათ! ყველას თუ არა, უდიდეს უმრავლესობას მაინც. სტალინის ეშინოდა ყველას! როგორ უთავსდება ერთმანეთს ეს ორი ცნება – შიში და სიყვარული? ძალიან ადვილად: ადამიანებს ეშინოდათ ძალისა, მაგრამ უყვართ ის ძალა, რომელიც ამკვიდრებს სიკეთეს, სძულთ ის, რომელიც ნერგავს ბოროტებას. ამიტომ არის, რომ ღმერთის კიდეც გვეშინია და კიდეც გვიყვარს იგი.

დამთავრდა დიდი სახალხო ომი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი: სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა და ამ გამარჯვების შემოქმედი იოსებ სტალინი მთელი პატიოსანი კაცობრიობის სათაყვანებლად იქცა. 1945 წელს, გამარჯვების პარადზე სტალინის გამოჩენა ასე აღწერა საბჭოთა კავშირის გმირმა, ისტორიის მეცნიერებთა დოქტორმა, პროფესორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, გენერალ-მაიორმა მიხეილ დოკუჩაევმა: „რიგითი ჯარისკაცი დაწყებული და მარული დამთავრებული, ყველა დაძაბული იდგა წითელ მოედანზე და რაღაც გაუგონარი, ზებუნებრივის მოლოდინში გარინდულიყო. სმენაზე იდგა წითელი მოედანი, სუნთქვა შეეკრა ტრიბუნებზე ჩამწკრივებულ ნაირფერ მუნდირებში გამონკეპილ გენერლებსა და მარშლებს, ათასობით სტუმარს. საოცარი დემილი იყო ჩამონოლილი და უცებ, მავზოლეუმის სიახლოვეს ჯერ კანტიკუნტი ტაში გაისმა, ხოლო შემდეგ მთელმა მოედანმა იგრილა, კრემლის კედლები ზანზარებდა, ოვაცია მოედო მთელ მოსკოვს, მთელ ქვეყანას – ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიოდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი“.

ვაშინგტონის „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს მაშინდელი ხელმძღვანელი ჰენრი კასიდი თავის თაყვანისცემას სტალინისადმი ასე ლაკონურად გამოხატავს: „ერთი სიტყვით, სტალინი ორი დიუმით მალლა დგას ნაპოლეონზე“.

უკანასკნელ ათწლეულებში ბევრი დაინერა მეორე მსოფლიო ომისა და, კერძოდ, სტალინის შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც და მის საზღვრებს გარეთაც. ბევრი რამ გაყალბდა, ბევრი ღირებულება გადაფასდა, ბევრგან ფაშიზმის რენიმიაცია მოხდა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენნი გმირებად შერაცხეს, მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტრებზე და ამ გამარჯვების შემოქმედის დამცირება ვერავინ და ვერაფერმა შეძლო, რადგან სიმართლე უძლეველია და როგორც 1941 წლის ნოემბერში იწინასწარმეტყველა სტალინმა, გამარჯვება დარჩება იმას, ვისი საქმეც სამართლიანია, რადგან ასეთია არა მხოლოდ ზეცის, არამედ უფლის განაჩენი.

ზურაბ ცუცქერიძე

ოპი ბამარჯვეზა დარჩა იმას, ვისი საქმეს სამართლიანი იყო

ხელმძღვანელებს 7 ნოემბრის სამხედრო პარადის ორგანიზება უბრძანა, ერთხანს ისინი გაოგნებულნი შესცქეროდნენ უმაღლეს მთავარსარდალს. სტალინის ბრძანება, რა თქმა უნდა, შესრულდა და მავზოლეუმის ტრიბუნიდან სტალინმა მიმართა წითელ არმიას, საბჭოთა ხალხს და მთელ დაჩაგრულ კაცობრიობას. მიმართა არა როგორც ბელადმა, არამედ როგორც მათმა მეგობარმა, ქრისტესმთავრმა მამამ და ძმამ: „დებო და ძმებო, თქვენ მოგმართავთ ჩემო მეგობრებო!“ ასე მიმართვა მხოლოდ ღვთის კაცს შეეძლო. მერე, როგორ დაასრულა ეს ისტორიული სიტყვა! ის კი არ უთქვამს, ჩვენ მრავალრიცხოვანი ჯარი, დიდი ტერიტორია და ამოუწურავი რესურსები გვაქვს და ამიტომ ვერ მოგვერევა მტერიო. არა! ჩვენი საქმე სამართლიანია და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო, – უთხრა. სიმართლეს ვერაფერი მოერევაო, – ეს იყო მთავარი მის სიტყვაში.



სტალინის როლს ფაშიზმისაგან კაცობრიობის ხსნაში ვერავინ დაამცრობს და გააბიაბრუებს. სწორედ მის ნებასა და გენიას ემორჩილებოდნენ ფაშიზმის საწინააღმდეგო კოალიციის ბუმბერაზი ქვეყნების – აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელები. ასე რომ არ ყოფილიყო, ისინი კი არ ჩამოვიდოდნენ მასთან მოსალაპარაკებლად, პირიქით იქნებოდა. და სრულიად ბუნებრივია ცნობილი, რუსი პოეტის ა. ტვარდოვსკის პოეტური განცხადება:



ს.ს.ი.პ – ბარემოს ეროვნული საბანკოს განსხვავება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ბაზის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
მუხრანის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3 ელ-ფოსტა	Licenziabi@yahoo.com
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მილსადენის სიახლოვის გამო უნდა გამოირიგოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება.</p> <p>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს პიფსოპეტროლუად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, ქვეყანაში მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.</p> <p>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>დ) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.</p> <p>ე) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში პერიოდულად უნდა განხორციელდეს სალიცენზიო ობიექტის, მონიტორინგი და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში გაჩერდეს სამუშაოები და დაუყოვნებლოვ ეცნობოს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარ ზიანზე, რაც კი შესაძლოა მიადგეს გაზსადენს, პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიასტს.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსპორტირების პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შესარულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლოვ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>

13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 2		
მუხრანის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziabi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შესარულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლოვ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯიხაშკარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჭანისწყალზე „ჭანისწყლის“ ქემა-ხრმის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 11 400 მ ³)
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯიხაშკარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 983 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	198,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	597 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 8 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 8 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 8 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 3		
მუხრანის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziabi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

	ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა
8	აუქციონის საწყისი ფასი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
